ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №17 (1647) | 14-17 მარტი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი



ჩვენ არც მოღალატეები ვართ, არც პრინციპებისა და იდეალებისთვის გვიღალატია



მე საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი

მეორე გვერდი

რატომ არ ჩამოდის აბაშიძე თბილისში?



მეორე გვერდი

ზვიადისტებს არავის წინაშე დანაშაული არ ჩაგვიდენია

მეთერთმეტე გვერდი

ვინც დღეს სახელმწიფოს სამსახურშია, ღებულობს ხელფასს და უკრავს ტაშს, რა უნდა იმას აფხაზეთში?!

მეთერთმეტე გვერდი

კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი



რა გადასახადებს იხდიან გერმანელები?

მეოთხე გვერდი

მეათე გვერდი

„უფროსი ძმის“ დევიზი: „ჩვენი მიზანია ალვზარდოთ მათში რუსულად მოაზროვნენი. ტანი ჰქონდეს ქართული, აზროვნება – რუსული“

მსახიობი და ცხოვრება

მეათე გვერდი

სპორტი

მეშვიდე გვერდი

თენგიზ კიკაჩეიშვილი:

ჩვენ არც მოღალატეები ვართ, არც პრინციპებისა და იდეალებისათვის გვიღალატია



ბატონ თენგიზ კიკაჩეიშვილს სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობ. ჩემთვის ცნობილი იყო მისი პოლიტიკური შეხედულებები და დამოკიდებულებები გარკვეული მოვლენებისადმი, მაგრამ პოლიტიკურ არენაზე მის გამოჩენას, მართალი გითხრათ, არ ველოდი. ყოველთვის მსურდა მეკითხა, როგორ მოხვდა იგი მეცნიერებიდან პოლიტიკაში. და აი, მოვიცა ხელსაყრელი შემთხვევა დამეკმაყოფილებინა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ბ-ნი თენგიზ კიკაჩეიშვილი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი თავაზიანად დამთანხმდა პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომელნიც ჩემთვისაც და საზოგადოებისთვისაც ინტერესმოკლებული არ იქნება.

— ბ-ნო თენგიზ, მაშინ, როდესაც მე თქვენს ლექციებს ვისმენდი, ნაკლებად თუ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ასეთ დიალოგს გავმართავდით. თქვენ დღეს ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“-ს სპიკერი ბრძანდებით, გუშინ მხოლოდ მეცნიერი იყავით, როგორ მოხვდა მეცნიერი კაცი პოლიტიკაში?

— მე ხშირად მსმენია ნათქვამი, „პოლიტიკოსად უნდა დაიბადოო“. მართლაც, პოლიტიკა ისეთი რამაა, ეტყობა მას გარკვეული გარემო სჭირდება, განვითარებისა და ჩამოყალიბების გარკვეული საფუძველი უნდა. არასოდეს მიფიქრია პოლიტიკოსობაზე.

ცხრა აპრილის შემდგომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, მხედველობაში მაქვს ცხრა აპრილის შემდგომ განვითარებული მოვლენები, მე გამომამეღვიძეს პოტენციურად ყველთვის ჩემში არსებული შეურიგებლობა იმის მიმართ, რაც მანამდე იყო. პირველად ცხრა აპრილის მერე მივედი მაშინ ყველაზე მასიურ სახალხო მოძრაობაში, რასაც „სახალხო ფრონტი“ ერქვა. იმ პერიოდისთვის ჩანდა, რომ ეს ორგანიზაცია ყველაზე მასიური იყო. აქაც გარკვეულად ზვიად გამსახურდიასა და მერაბ ჩოსტუას პიროვნებებმა ითამაშა როლი. ვინაიდან [illegible] ფენომენ[illegible]ტის პირველ ყრილობაზეც და მისი ჩამოყალიბების პროცესში მათ ძალიან დიდი წვლილი მიუძღოდათ. ასე მოვედი პოლიტიკაში.

— თქვენ ახსენეთ ბ-ნი ზვიად გამსახურდია. არსებობს აზრის იმის შესახებ, რომ იგი ძალზე რთული პიროვნება იყო საურთიერთოვოდ. გქონდათ თუ არა მასთან ახლო ურთიერთობა და თუ გქონდათ, რას იტყოდით ზემოთხსენებული აზრის შესახებ?

— რომ ვთქვა, მე მის გვერდით ვიდექი, ან ვიყავი მისი ახლობელი, მისი შეხედულებების თანამონაწილე იმ პროცესებში, რასაც ზვიად [illegible] [illegible] [illegible]

თენგიზ კიკაჩეიშვილი:

ჩვენ არც მოღალატეები ვართ, არც პრინციპებისა და იდეალებისათვის გვიღალატია

მეორე გვერდიდან

სულ მოვლენად. ის უკვდავია ისე, როგორც ისტორიაში ყველა ეროვნული გმირი. იგი გასაღებია მომავალი თაობისათვის და მისაბაძია. სწორედ ამას აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. ერი უნდა ვითარდებოდეს და დაღუპვაა ის, რომ ერი შეჩერდეს რომელიმე მოვლენაზე, რომელიმე პიროვნების მიმართ თაყვანისცემის საფეხურზე. ამ თვალსაზრისით ზვიადმა გააგრძელა მეოცე საუკუნის ქართული ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის ტენდენციები და ძირითად პროცესებში ჩართული იყო როგორც ლიდერი ამ მოძრაობისა. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მე ვერ ვგრძნობ გაფეტიშებისა და მესიის ისეთი გაგების საფუძველს, როგორც ეს ესმის ზოგიერთს. ჩემთვის ზვიადი არის ადამიანი, რომელმაც ეროვნულ მოძრაობას თავი შესწირა. ასე ვუყურებ მე ზვიად გამსახურდიას პიროვნებას.

— ისევ ბ-ნი ზვიად გამსახურდიას თემა გავაგრძელოთ. ბევრს აწვალებს კითხვა: როგორ დაიღუპა ზვიად გამსახურდია, რა არის თქვენთვის ცნობილი ამის შესახებ?

— სანამ შესაძლებლობა არ არის გამოძიებისა და ობიექტურად დასკვნის გაკეთებისა, მე ამაზე კონკრეტული წარმოდგენა არ მაქვს. არ შემიძლია ავიჩემო, რომ იგი მოკლეს, ან რომ მან თავი მოიკლა. მინახავს პიროვნებები, რომელნიც ამბობდნენ, რომ ზვიადი მოკლეს, მინახავს ისეთნიც, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ მან თავი მოიკლა. მე ასე ჩამოვაყალიბებდი ჩემს შეხედულებას. ზვიად გამსახურდია ნამდვილად შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი ამ ბრძოლის პროცესში დაიღია და დაიფერფლა. კონკრეტული მე არაფერი შემიძლია ვთქვა. ამას უნდა ობიექტური ხელშემწყობი პირობები. გამოძიებ ყველა შესაძლებლობა, მოწმეების დაკითხ. პოლიტიკური შეფასება თუკი პარლამენტმა 1991-92 წლების მოვლენები შეაფასა, ეს ძალზე ბევრ მოვლენას ახდის ფარდას. მართალია, შეკარნაძე ამბობს, რომ ამ ფაქტის შეფასება არეულობას გამოიწვევს, მაგრამ არა, ეს არაფერს არ გამოიწვევს. სიმართლე ისეთი სინათლეა, რომ ამის საფუძველზე არ შეიძლება დაპირისპირება მოხდეს.

— ბოლო პერიოდში ის ორგანიზაციები, რომელნიც მოითხოვდნენ ყოფილ ხელისუფლების აღდგენას, რამდენიმე ნაწილად დაიყო. იმდენად ბევრი ნაწილი წარმოიშვა, რომ ხალხი დაბნეულია. რატომ მოხდა ეს დაყოფა?

— ხალხმა უნდა იცოდეს თეთრისა და შავის გარჩევა. ეს არ არის დამოკიდებული მარტო იმაზე, რომ ჩვენ ვფიქრობთ, ხალხს არ უნდა გაუჭირდეს ცუდის და კარგის ამოცნობა. დაშლისა და დარღვევის პროცესი რთულია. რას ნიშნავს ერთიანობა? ზოგს მიაჩნია ისე, რომ ერთიანობა არის, შენ შეგეძლოს ყველა საწინააღმდეგო აზრთან ან გარკვეულ ტაქტიკურ სვლასთან გაერთიანებული ზომების მიღება, ასეთი რამ არ ხდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროცესი მიდის, ამ პროცესს ვერ უძლებს ზოგიერთი და ის ვისაც თავისებურად ესმის სტრატეგიული ხაზი და გზა, მიყვება იმ გზას. ასე ჩამოგვცილდნენ ჩვენ ზოგი გაუგებრობის ნიადაგზე, ზოგი იმიტომ, რომ მართული იყო, ზოგი იმიტომ, რომ შესაძლოა არც იცოდა, რომ მართული იყო, მაგრამ გარკვეული ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს.



როდესაც ჩამოყალიბდა ეროვნული ხსნის მოძრაობა-წინააღმდეგობის ფრონტი, გარკვეული პერიოდის შემდეგ ე. წ. ძველებში გაჩნდა ასეთი ტენდენციები: „ესენი ვინ არიან, საიდან მოსულან". საფუძველში იყო შეუთავსებლობა. მე მინდა მოვლენებს გავუსწრო და გითხრათ, რომ ამ ე. წ. ახლებმა თავისთავზე გადაიტანეს საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურება და ბრძოლის პროცესში „ახლები" უფრო იყვნენ ჩართულნი, ვიდრე ისინი, ვინც ზვიად გამსახურდიას გამარჯვებასთან ერთად შეჰყვა ამ პოლიტიკურ ლოკომოტივს. ჩვენ მეტი განვიცადეთ ზოგიერთი თვალსაზრისით. ასეთი აგდებული დამოკიდებულება ადრეულ ეტაპზე მეღანდებოდა. მერე ნელ-ნელა გამოიკვეთა საქმისადმი და საკითხისადმი მიდგომის სხვადასხვა პრინციპები. დაშლა, დანაწილება ყოველთვის ხდება, რაღაც იკარგება, რაღაც მოიპოვება. ადამიანი კვდება, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება. ჩვენ ბევრი მეხრეები გვყავს და არ ვფიქრობთ, თუკი გაერთიანდებითო, ამით მეტ მომხრეს შევიძენთ. ჩვენ ექვსი წელი ვიბრძოლეთ, ექვსი წელი დაუმორჩილებლობის, მიტინგების, აქციების გზით ვიარეთ, შედეგი არ იყო. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი მიზნები და გადავწყვიტეთ — უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა. სწორედ ამ შეხედულებას მოჰყვა განხეთქილება. ეს მოხდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ რეგისტრაცია გავიარეთ. დაგვბრალეს ღალატი, შევარდნაძესთან ალიანსი, აგენტობა და ა. შ. ჩვენ არავითარ ალიანსში არ ვართ არავისთან, ჩვენ გვაქვს ჩვენი პოზიცია, ჩვენი დამოკიდებულება მოვლენების მიმართ. შესაძლოა დაელაპარაკო შევარდნაძესაც კი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მასთან ალიანსს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენთან არის დღეს. ჩვენ ამჟამად ათი ათასი წევრი გვყავს. მე არ ვგულისხმობ მომხრეებს ჩვენ მიგვაჩნია, რომ არც მოღალატეები ვართ, არც პრინციპებისა და იდეალებისათვის გვიღალატია, უბრალოდ მიზნის განსახორციელებლად მივიჩნევთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის გარდა ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია. ხელისუფლების შეცვლის ორი გზა არსებობს. ან მშვიდობიანი არჩევნების გზით მიხვიდე ხელისუფლებაში ან სამხედრო გადატრიალება მოახდინო. ჩვენ გამოვრიცხავთ ამ უკანასკნელს. რჩება ერთი გზა — არჩევნებისა. მართალია, მასაც აქვს თავის სიმძიმეები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გადავლახავთ.

— ბ-ნო თენგიზ, თქვენ ისაუბრეთ იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია თავის დროზე ერთიანი ეროვნული მოძრაობის დაყოფა. ეს დაყოფა ხომ არ არის გამოწვეული რაღაც გარე ძალების ჩარევით?

— მე გეტყვით ასეთ რამეს. ჩვენ ვართ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო", „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" სპიკერი სიცოცხლის ბოლომდე იყო ზვიად გამსახურდია. 1993 წელს გროზნოში ვიცე სპიკერად ერთხმად ამირჩიეს მე. მაშასადამე, ეს მემკვიდრეობა გადმოგვეცა ჩვენ, „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს". იქ, სადაც უწყვეტობაა (ე. ი. ჩვენთან), სწორედ ისაა ჭეშმარიტი მემკვიდრე იმ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოსი", რომელიც ჩამოაყალიბა ზვიად გამსახურდიამ. ისე რომ, როდესაც იქმნება პარალელური სტრუქტურები, ეს მართვადი პროცესია. უშიშროება დაინტერესებულია იმით, რომ შეიქმნას პარალელური სტრუქტურები. ვინც ქმნის პარალელურ სტრუქტურას, ის უნდა დაფიქრდეს, რას აკეთებს. ვვარგვართ თუ არ ვვარგვართ, ჩვენ ვართ მემკვიდრეები. ჩვენ გავიარეთ რეგისტრაცია და ამით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ეს. სხვა საკითხია მოწონს თუ არა ვინმეს ჩვენი არჩევანი. ამ ფაქტს ღალატში გვითვლიან. გვეუბნებიან: „თქვენ უკანონო ხელისუფლებას მიეცით სიცოცხლისუნარიანობა, ამით თქვენ უკანონო ხელისუფლება აღიარეთ კანონიერად". ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებას ვუწოდებთ უკანონოს, იმიტომ, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. დღევანდელ პარლამენტში არსებული ყველა ფრაქცია ამ ფაქტს აღიარებს და მით უმეტეს ჩვენ ვამბობთ, რომ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ გარკვეული მიზნების გამო გავდივართ რეგისტრაციას. ეს არის ჩვენი პოზიცია, პრინციპი. ვიცით ჩვენ რატომ ვაკეთებთ ამას, რა შედეგებს მოვიმკით. ვერ ატანა ერთია, პარალელური სტრუქტურის შექმნა კი მეორე. ჩვენი რეგისტრაცია იმდენად არ ასხამს წყალს მავანთა წისქვილზე, როგორც პარალელური სტრუქტურების შექმნა.

— როგორია საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების თქვენეული შეფასება?

— როდესაც ისეთ მოვლენებს აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში, როგორიც თებერვლის თვეში მოხდა, ჩვენ ვამბობთ: ამის საფუძველი არის საქართველოში. ქვეყანა არის იმპერიული მართვის ქვეშ, ვგულისხმობ რუსეთს. ის, რომ რუსეთის ჯარი საქართველოში დგას, ესაა დესტაბილიზაციის ერთ-ერთი და მთავარი წყარო. სანამ ეს ჯარი აქ იქნება, სანამ ჩვენ იმპერიის იდეალებსა და პრინციპებს გარკვეულ ანგარიშს ვუწევთ, ყოველთვის შესაძლებელია მოხდეს ქვეყანაში ისეთი რამ, რაც თებერვალში მოხდა, რაც არ უნდა მოხდეს საქართველოში, ყველაფერი იგეგმება გარედან.

ამ ბოლო პერიოდში ითქვა ასეთი რამ: გამოვიყვანოთ ტყედან ზვიადისტები. მე თავს „ზვიადისტად" ვთვლი, მაგრამ მე ტყეში ნამდვილად არ წავსულვარ. მე არ ვიცი, ვინ არის ტყეში. თუ ტყეში ამდენი ხალხი იყო, სად იყო ხელისუფლება ამდენ ხანს? მე მინდა ვთქვა ერთი რამ: მანამდე, სანამ საგნებს თავისი სახელი არ დაერქმევა და მოვლენები არ შეფასდება, თუკი არ იქნება საფუძველი, კეთილი საქმე უშედეგო იქნება.

— თქვენ საუბარში თქვით ასეთი ფრაზა: „სანამ რუსეთის იმპერიას ვუწევთ ანგარიშს" — თქვენ თვლით, რომ რუსეთს ანგარიში არ უნდა გავუწიოთ?

— ის, რომ რუსეთს საერთოდ არ გავუწიოთ ანგარიშ, ეს ბევრს მიგულისხმია. ანგარიშს მეგობარს უწევ, ოჯახის წევრს უწევ, მაგრამ ვიცით, რომ ესაა მეგობარი და ოჯახი. ანგარიშის ისეთი გაწევა, რომ რუსეთს როგორც უნდა, ისე გვიკარნახოს, ცხადია, არ გვარგებს. როდესაც მართვა არ იქნება, მაშინ შესაძლოა ანგარიშის გაწევა. რუსეთმა უკვე რამდენჯერ მოახერხა ის, რომ რუსეთში არსებული პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად რუსეთშივე დასაღვრელი სისხლი საქართველოში დაანთხია.

— უკანასკნელ პერიოდში გამოჩნდა პიროვნება, ვინმე ჩოლოყაშვილი, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ვინ არი იგი?

— ალბათ ეს ინტერესი წამოვიდა იქედან, რომ პრესკონფერენციაზე გაიჟღერა გვარმა ჩოლოყაშვილი. ამას მიეცა სხვანაირი შეფასება. ზოგმა ისიც გვითხრა, რომ ჩოლოყაშვილის გვარის ხსენებით ჩვენ დავადასტურეთ ორი უზენაესი საბჭო, ხელი შევუწყვეთ გათიშვას და ა. შ. არავითარ შემთხვევაში. პრესკონფერენციაზე დაისვა კონკრეტული კითხვა, ჩვენი პასუხი იყო ასეთი, რომ უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე არის ჩოლოყაშვილი. ჩვენ ვუპასუხეთ კონკრეტულ კითხვას. ეს იყო და ეს.

— 16 მარტს უნდა ჩატარდეს სამიტი, სადაც დაისმება ისევ იგივე, აფხაზეთის საკითხი. თქვენ რას ფიქრობთ, შესაძლოა თუ არა ამ ფორმით აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა?

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ არაფერიც არ გადაწყდება. სანამ არ მოხდება 1991-1992 წლების სამართლებრივი შეფასება და სანამ არ ჩამოყალიბდება პოზიცია პარლამენტისა და ხელისუფლებისა, მანამდე არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მოგვარდეს აფხაზეთის საკითხი. მე ასე ვფიქრობ.

სანამ რუსეთის თუნდაც ერთი ბაზა იქნება საქართველოში, აფხაზეთის საკითხი ვერ მოგვარდება.

დავამატებდი კიდევ ერთს: ყველაფრის გასაღები დევს ჩვენშივე. თუ მთავრობა შეაფასებს წარსულ მოვლენებს, რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხი დადგება დღის წესრიგში და ეს საკითხი გადაწყდება, რასაც „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" აყენებს, მე მგონი გარკვეულ შედეგებს მივაღწევთ.

9 აპრილს ვაპირებთ გავმართოთ ფილარმონიაში შეხვედრა. მოვიწვიოთ პოლიტიკური პარტიების ყველა სპეკტრი. რამდენად გამოვა ეს არ ვიცი, როგორ მოგვცემენ ამის შესაძლებლობას, არც ის ვიცი, მაგრამ ჩვენ გვინდა დავსვათ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები. ის შერიგება, რაც ახლა წამოიწყეს, არ მოხდება მანამ, სანამ არ გადაწყდება საკითხები, რომელზეც ვიაუბრეთ. მთავრობას სურს შერიგება ისე, რომ ცოდვის ტვირთი არ ზიდოს. ეს კი შეუძლებელია.

— უღრმესი მადლობა ბ-ნო თენგიზ, მომავალ შეხვედრამდე.

— გმადლობთ.

ესაუბრა ანა ჯუღელი

ამბავი მეცნიერებათა აკადემიაში კედლებზე ცერცვის შეყრისა

ჩვენი დღევანდელი ქართული საზოგადოება რომ ტოტალურ კრიზისში იმყოფება, ამის თაობაზე ცხოვრებაზე დაფიქრებულ ქართველს, ცხადია, ეჭვი არ ეპარება. მაგრამ მაინც გვაქვს ილუზია თითქოს არის ერთი ოაზისი — სახელდობრ მეცნიერება, რომელიც გადაურჩა კრიზისს. ამ სფეროში თითქოს რომ არა ფინანსურ-ეკონომიკური შეჭირვებანი სხვა მხრივ ყველაფერი სათანადო დონეზეა (თანაც მიწრაფვა მსოფლიო სტანდარტებისა!). დიდად სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებ ასეთ ეიფორიულ განწყობილებას. კერძოდ, საკმაოდ ეჭვნობიერებ, თუ როგორ უმწეო მდგომარეობაშია გახლავთ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებანი, კერძოდ, ჩვენი ეროვნის უძველესი დარგი — ქართული ისტორიოგრაფია. ამის შესახებ ჩემს სამეცნიერო ნაშრომებსა და საგაზეთო წერილებში საზოგადოებისათვის არაერთხელ მიმიხსენებია. ძალიან მინდოდა აღნიშნული საკითხის თაობაზე მოხსენებით გამოსულიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების სხდომაზე. და აი, სამი წლის მცდელობის შედეგად 10 მარტს მომეცა შესაძლებლობა ამ ავგარი მოხსენებით წარვმდგარიყავი. ბუნებრივად ვიტყვი, მაინცადამაინც არა მჭირდა ილუზია, რომ ჩემს კოლეგა — ისტორიკოს აკადემიკოსებთან და წევრ-კორესპონდენტებთან სერიოზული დიალოგი მედგებოდა, მაგრამ მჭირდა იმედი იმისა, რომ არაისტორიკოსებს, განსაკუთრებით ფილოსოფოს-აკადემიკოსებს გურამ თევზაძეს, ედუარდ კოდუას და ოთარ ჯიოევს ბევრ რამეს გავაგებინებდი. მაგრამ მოლოდინი არ გამმართლდა: კერძოდ ამ უკანასკნელებმა კამათი გადაიტანეს სხვა სიბრტყეში — სახელდობრ ისტორიისა და ისტორიის ფილოსოფიის რაობაზე. მათ თავი აარიდეს საკითხს იმაზე, რომ ისტორიოგრაფია ოდენ ემპირიული კვლევიების დონეზე არაა ნამდვილი მეცნიერება, რომ ეს დარგი ასეთად იქცევა სათანადო თეორიულ, ვნებავთ ფილოსოფიურ დონეზე დაფრდნობით. მე არ ვიცი თუ რა მიზეზით: — იმით, რომ ვერ გაერკვნენ საკითხის არსში თუ ჯგუფობრიობის გამო (აღნიშნული ფილოსოფოსები ხომ რიგ ისტორიკოსებთან ერთად აკადემიის ერთი განყოფილების და საერთოდ აკადემიის წევრები არიან!) — მოხდა, რომ ფილოსოფოსმა აკადემიკოსებმა თავი აარიდეს მათთვის ძალზე აქტუალურ საკითხს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. რაც შეეხება ისტორიკოს აკადემიკოსებს, ისინი ჯიუტად იმეორებდნენ ერთსა და იმავეს და მათ არ ისურვეს ნორმალური დიალოგის გმართვა. დანარჩენები, სხვა დარგების აკადემიკოსები ისე გვისმენდნენ, თითქოს ჩინურ ანბანზე გვჭონდა საუბარი.

მკითხველებს ვთავაზობ ჩემი მოხსენების თეზისებს, რომლებიც აღნიშნული განყოფილების წევრებს ერთი თვით ადრე დაურიგდათ.

თეზისები მოხსენებისათვის „ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები".

1) რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, ქართველ ისტორიკოსთა შორის ძალზე იშვიათია გაიაზრონ ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და დასახონ განვითარების პერსპექტივები. ასეთი მიდგომა კი აუცილებელი გახლავთ, რამეთუ მისი მეშვეობით დაჩქარდება ჩვენი ეროვნის უძველესი დარგის განვითარება.

2) ჩვეულებრივ, ისტორიკოსთა შორის ეიფორია სუფევს ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობის თაობაზე. მისი (ეიფორიის) საწყისი მოდის იქიდან, თითქოს 30-იან წლებში ისტორიოგრაფიაში ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის დანერგვით ახალი, ივანე ჯავახიშვილის შემდგომი (ლოგიკური აზრით) ეტაპი დაიწყო. ამას კი უკვეშრებდნენ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელებს. ახლა ამგვარი წარმოდგენა საფუძვლიანად შეირყა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვამბობდით, არ სურთ დაინახონ მდგომარეობის ობიექტური სურათი.

3) ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის გავლენით ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამ დამახინჯებული სახით იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, ჩვენს ისტორიულ პროცესს თავს მოახვიეს მონათმფლობელური ფორმაცია, ფეოდალიზმის განვითარებაც მოლად კლასიკური სახით საფრანგეთის ისტორიის დარად წარმოიდგინეს. ვერ გაიაზრეს, რომ ჩვენში კლასთა ბრძოლამ მეორე პლანზე გადაიწია. სიმონ ჯანაშიას მტკიცებით, VI საუკუნეში სოციალურ რევოლუციასაც კი (სამ რეგიონში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) ჰქონდა ადგილი. ნიკო ბერძენიშვილის მტკიცებით, მეფის რუსეთის ბატონობის პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თითქოს გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ადგილი ჰქონდა გეოგრაფიული ფაქტორის იგნორირებას, სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ განვითარებაში ეკონომიკური ფაქტორის როლის გაზვიადებულ წარმოდგენას, ერთი სიტყვით, ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციიდან მიდგომას და ა. შ.

4) ჩვენს ისტორიოგრაფიაში რომ საქმე კარგად ვერაა, ეს იქიდანაც კარგად გამოჩნდა, რომ ისტორიკოსები უმწეონი აღმოჩნდნენ უახლოესი წარსულის გაანალიზებაში და ამ მხრივ მათ მწერლებმა (ნარა გელაშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ვაჟა გიგაშვილი და სხვ.) აჯობეს. ფაქტია, რომ დღემდე არა გვაქვს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ასევე მსოფლიო ისტორიის პერიოდების შესახებ.

5) ჩვენი აზრით ფილოსოფიური, თეორიული სიმბიოზი მარქსიზმ-ლენინიზმის სახით უაზრობაა და აქედან გამომდინარე, მსგავსი „მოძღვრების" საფუძველზე სერიოზული ისტორიოგრაფია ვერ განვითარდება. მაგრამ, ამასთანავე, მტკიცედ გვწამს ისიც, რომ ისტორიკოსთათვის საკმაოდ მნიშ-

აგრძელება მე-4 გვერდზე/

ამბავი მეცნიერებათა აკადემიაში კედლებზე ცერცვის შეყრისა

მესამე გვერდიდან

ენელოვანია ავთენტური მარქსიზმი, რომელიც თავის მხრივ არცთუ ისე იოლი ასათვისებელია, რომ მრავალი ისტორიკოსის თეორიულ არსენალად იქცეს. საერთოდ, იდეალური თეორიაც კი გამოუსადეგარი ხდება, თუ ისტორიკოსებს სათანადო ერუდიცია, ნიჭიერება და შრომისმოყვარეობაც არ მოსდგამთ. შეგახსენებთ იმასაც, რომ მიუხედავად თეორიის პრიმიტულობისა და ბორკილებისა ქართველმა მარქსისტმა ისტორიკოსებმა (გრიგოლ ნათაძემ, სიმონ ხუნდაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და სხვებმა) მაინც თვალსაჩინო კვალი დაამჩნიეს ჩვენს ისტორიოგრაფიას.

6) დღეს, ბოლშევიკურ-კომუნისტური მსოფლმხედველობის მსხვრევის პირობებში, დღის წესრიგში დგება საისტორიო მეცნიერების თეორიული განახლების საკითხება. ვიმეორებთ, თუ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის „ფასეულობა“ ეჭვს არ იწვევს, გასაზიარებელია ავთენტური მარქსიზმის მნიშვნელობა. ამასთანავე, რასაკვირველია, ისტორიული პროცესის გასაზრებლად სხვა მიმდინარეობებსაც უნდა მივმართოთ.

7) უახლესი ათწლეულების ქართულ საისტორიო მეცნიერებაში (არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ჩათვლით) და საერთოდ საისტორიო მეცნიერებაში ფაქტოლოგიის მხრივ, ცხადია, ბევრი რამ გაკეთდა. იგივე ითქმის ცალკეული საკითხების დამუშავების შესახებ, მაგრამ როცა ისტორიული პროცესის განზოგადებაზე (სინთეზზე) მიდგება საქმე, ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობას ვაწყდებით. ეს კი საკმაოდ გასაგებია, რადგან თეორიის გამოუყენებლობამ არ შეიძლება უარყოფითი შედეგები არ გამოიღოს. ამიტომაც, ასე თუ ისე პროფესიულ დონეზე შესწავლილი ცალკეული საკითხების შემდგომ, სახეზე გვაქვს უბადრუკი სინთეზი, უფრო სწორად სინთეზის იმიტაცია.

8) ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში ე. წ. საბჭოთა კავშირში უკვე იგრძნეს ისტორიის ახლებური თეორიული გააზრების საჭიროება. ამ მიმართულებით კერძოდ ერუსმა ისტორიკოსებმა საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს. დიდად სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქართველ ისტორიკოსებზე. ასე რომ, ეს გარემოებაც თვალნათლივ ჰხვენებს, რომ აღნიშნულ სფეროში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი სუბიექტურ ფაქტორშია საძებნი.

9) უახლეს რეტროულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე ცნობილ დასავლელ ისტორიკოსთა შემოქმედების, უახლოეს მიმდინარეობათა შესწავლას. ქართული ისტორიოგრაფია ამ მხრივ ჯერ პრეზენტაციად გამოიყურება. მაგრამ ამას ვინ ჩივის — ქართველ ისტორიკოსებს ხომ დღემდე სათანადოდ დარგის ისტორიაც კი ვერ გაუცნობიერებიათ.

10) ქართველმა ისტორიკოსებმა გულებრყვილოდ ირწმუნეს, რომ ცალკეული საკითხების შესწავლის შემდგომ, მათი მექანიკური შეჯამებით შეიქმნებოდა დიდი განმაზოგადებელი ნაშრომები. მაგრამ ეს, რომ ილუზია აშკარად გამოჩნდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევის (დაიწერა 88 ავტორის მიერ!) რვატომეულის მაგალითზე. აქედან გამომდინარე დაკმაყოფილდნენ, რომ საქართველოს ისტორიის ნამდვილი (და არა სურროგატული!) განმაზოგადებელი ნაშრომი სულ სხვა გზით უნდა დაიწეროს.

11) სულ მთლად უბადრუკი მდგომარეობა გვაქვს მსოფლიო ისტორიის როგორც მთლიანობის გააზრებაში. მეტსაც ვიტყოდით, ისტორიკოსები ვერ აჩენენ თვით პრობლემასაც კი.

12) ჩვენ არ უნდა აკვნეთ სტიქიურობის ტალღებს და დაველოდოთ, რომ უცხოეთში აღიზრდებიან ისტორიკოსთა კადრები და ისინი გამოასწორებენ საქმეს. ამის გარეშეც ჩვენ სათანადო საკუთარი ძალისხმევაც უნდა გამოვიჩინოთ. მთელი სერიოზულობით უნდა გავიცნობიეროთ, რომ ისტორიოგრაფია უნივერსალური მეცნიერებაა და მისი დაუფლება შეუძლებელია ისტორიის თეორიის (ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის), ისტორიოგრაფიის ისტორიის, ზოგადი სოციოლოგიისა, სოციალური ფსიქოლოგიის და ა. შ. სათანადო შესწავლის გარეშე.

13) საისტორიო მეცნიერება, ცხადია, ვერ განვითარდება დისკუსიების გარეშე. ფაქტია, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ისტორიკოსებს ერთი სერიოზული დისკუსიაც კი ვერ მოგვიწყია.

14) დაბოლოს, საჭიროა, რომ სათანადო ორგანოები მეტი სერიოზულობით მიუდგნენ ქართული ისტორიოგრაფიის აღორძინების საქმეს. აქ უნდა ჩაერიოს უმაღლესი ოფიციალური ხელისუფლებაც, რაც ჩვენს ისტორიაში სულაც არ გახლავთ უპრეცედენტო.

დასასრულს იმედს გამოვთქამ, რომ საქართველოში, ალბათ, ჯერ კიდევ მოიძებნება ხალხი, რომელიც გულთან ახლოს მიიტანს კერძოდ ჩვენი ისტორიოგრაფიის ბედიღბლის საკითხს და ისინი გამოიხმაურებიან ჩვენს გამოსვლას. ასეთი ადამიანები, რასაკვირველია, გაზეთ „საქართველოს“ მკითხველთა შორისაც გვყავს.

გურამ ყორანაშვილი

თენგიზ სიგუა: „მე საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი“

მეორე გვერდიდან

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ალბათ, ეცოდინებოდა, ეს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

სოფლის მეურნეობის საგკვივარი დღეს

მკითხველმა იცის, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური დივერსია, რომელიც დღეს ხორციელდება საქართველოს წინააღმდეგ მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის მიზნით, არის სოფლის მეურნეობის ნგრევა და მისი განვითარების ხელოვნური ჩახშობა. ამ მდგომარეობის გასწორებას საქართველოს ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ დასჭირდება წლები, მაგრამ იმის განსაზღვრა, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამისათვის და რა თანმიმდევრობით, ახლავეა საჭირო.

გაზეთი „საქართველო" მთელი სიღრმით განიხილავს ამ საკითხს. პუბლიკაციას ვიწყებთ სოფლის მეურნეობასთან პრაქტიკულად მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის — წარსულში სახელმწიფო მეურნეობის მთავარი ეკონომისტის, ამჟამად კი კერძო მეურნის ბატონ ნუგზარ ჭოლიკაურის წერილით.



დღევანდელი საქართველოს ერთიანად დანგრეული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული რგოლი თუ დარგი არის სოფლის მეურნეობა.

1991-92 წწ. ომის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ და სოგუას მთავრობამ უკვე 1992 წ. გაზაფხულზევე ჩაატარა მინის რეფორმა. გაიზარდა კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ფართობები. ამ დროისათვის ქვეყნის ეკონომიკა ომისა და ქაოსის გამო უკვე დანგრევის პირას იყო მისული. სახელმწიფოს აღარ შეეძლო ეკონტროლებინა საზოგადოებრივი მეურნეობების მუშაობა. ამგვარად, ეს ნაბიჯი უკვე იძულებითი იყო. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ ამ უეცარ და მოუმზადებელ ნაბიჯს ბევრი უარყოფითი შედეგიც მოჰყვა. ცხადია, მართალი იყო გამსახურდიას მთავრობა, როცა აცხადებდა, რეფორმას მომზადება სჭირდებაო.

უპატრონოდ და უკონტროლოდ დარჩა საზოგადოებრივი მეურნეობების კუთვნილი მანქანა-იარაღები, გაიძარცვა, გაიყიდა სასოფლო ტექნიკა. მალევე დაიწყო სანვავით მომარაგების კრიზისი. შემცირდა შესაწამლი მასალები, ჰერბიციდები, მღრღნელთა საწინააღმდეგო საშუალებები.

კერძო მესაკუთრეებს აშკარად გაუჭირდათ მიწის დამუშავება. თავისი როლი გამოუცდელობამ, ფსიქოლოგიურმა თუ ეკონომიურმა მოუმზადებლობამაც შეასრულა. ტექნიკური საშუალებების სიმცირისგან გაძვირდა მიწის დასამუშავებელი სამუშაოები. ხვნა და მომკა 30-50 ლარს შორის მერყეურობს. ზიგზაგი, თესვა, კულტივაცია მოხვნის ნახევარი ღირს. გარდა ამისა, მიწის დამუშავებისას აშკარა ხარვეზებია: იხვნება ცუდად, ზედაპირულად, ხარვეზებით, რაც აშკარად აძნელებს ხელით შესასრულებელ სამუშაოებს, თოხნას. ხშირია ხელით თესვა, ეს კი დიდ დანარკაგებს იწვევს. ერთიანად რომ შეიკრიბოს, ჰექტარი ფართობის დამუშავება 100 ლარზე მეტი უჯდება მესაკუთრეს. მოსავლიანობა კი ასეთი პირობების გამო აშკარად კლებულობს. მიწის ფართობები უკვე აღარ ინამლება. ეს კი აშკარად ართულებს ბრძოლას როგორც სარეველების, ისე მღრღნელების წინააღმდეგ.

ძალიან ცუდად მოქმედებს ტექნიკის (მანქანა-იარაღების) სიმცირე. ფასებზე უკვე ითქვა. გარდა ამისა, აშკარად გვიანდება შესასრულებელი სამუშაოების ვადები. ის სცილდება ხოლმე აგრო-ტექნიკურს. შარშან, ბაკურ გულუას თქმით, საქართველომ საუკეთესო მოსავალი მიიღო მარცვლეულისა. ასე იყო ჩვენთანაც. ერწოს ზონის უდიდესი ნაწილი ხორბალს ეკავა. მაგრამ კომბაინების უქონლობის გამო დაგვიანდა მოსავლის აღება და ფაქტიურად მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ისიც კი ვერ მიიღო, რაც დათესა. ოქტომბრის თვემდე ხორბალი მოსამკალი რომ იქნება, ამას რა შედეგიც მოყვება, ყველამ უნდა იცოდეს. დღეისათვის იქ, სადაც ათასობით ჰექტარ მიწის ფართობია სახნავ-სათესი, სულ ერთეულებს თუ ექნებათ ხორბლის ნათესები. მოსახლეობა აშკარად გულგატეხილია. უმრავლესობა ფიქრობს სახნავის დიდი ნაწილი სათიბად დატოვოს. ამხელა ფართობების ხელით დამუშავება, ისიც — ზემოთ აღნიშნული პირობების დროს აშკარად ჭირს. სათიბის სრულფასოვანი მოსავლის მისაღებად კი იმ მიწებზე წლების მანძილზე რომ იხვნებოდა და ითესებოდა, სამი-ოთხი წელი იქნება საჭირო, ეგებ მეტიც.

ყველაფერი ზემოთთქმული აშკარად ამცირებს მოსავლიანობას და მოსახლეობის შემოსავლებს. მით უმეტეს, რომ სარეალიზაციო ბაზარი დღევანდელი სიღატაკის გამო აშკარად შეზღუდულია. ამას ემატება თურქეთიდან თუ სხვა ბაზრიდან შემოტანილი და დაბალხარისხოვანი, შეწამლული თუ მოწამლული პროდუქცია, რისი დახმარებითაც აშკარად ამცირებენ გასაყიდ ფასებს. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ყველაფერი ზემოთ ნათქვამი ისე ართულებს საქმეს, რომ ერთი შეხედვით მცირე რაოდენობის გადასახადის მიწის ნაკვეთებზე გადახდის საშუალებასაც არ აძლევს ინდივიდუალურ მესაკუთრეებს.

სახელმწიფო მოხელეები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, პარლამენტი, ფაქტიურად არ კითხულობენ არაფერს, მხოლოდ გადასახადის გადახდაზე საუბრობენ და „ვალდებულების" შესრულებას სთხოვენ გლეხებს.

სამაგიეროდ, როცა იგივე გლეხები ბანკში შეტანილი ანაბრების განაღდებას სთხოვენ, ისინი ბიუჯეტის სომცირეს, შეტანილი თანხების დიდ რაოდენობას იმიზეზებენ.

დღეს პარლამენტშიც ბევრს კამათობენ, სოფლის მეურნეობის დასახმარებლად კრედიტებს გვიგზავნიან საზღვარგარეთიდან, მაგრამ საკითხავია, სად მიდის ეს კრედიტი, ვის უნაწილდება და აღნევს თუ არა კონკრეტულად მეწარმემდე, ანუ აქვს თუ არა მას მიზნობრივი ხასიათი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კრედიტის გაცემას ბანკები აკონტროლებენ და თავიანთ, კარგა მოზრდილ პროცენტსაც ადებენ ზედ.

ვიმეორებ, კრედიტი მიზნობრივად უნდა გაიცეს თითოეულ მეწარმეზე და არა ისე, როგორც დღეს კეთდება, — დარგების მიხედვით, თანაც ყოველგვარი საბანკო პროცენტის გარეშე.

კერძო მესაკუთრეებს არ ექნებათ ნორმალური პირობები მიწის დამუშავებისა. 100 წელიც რომ გავიდეს, გადასახადზე ლაპარაკიც კი უნდა შეწყდეს. არადა, ხშირად დაყვედრებასავით გაიგონებ, სამი წელი ხომ ვადროვეთო.

არ ვიცი, რა სანქციებზეა საუბარი? თუკი ინდივიდუალურ მესაკუთრეს ·ჩამოართმევენ მიწით სარგებლობის უფლებას და ნაკვეთს გაყიდიან, საბოლოოდ შესაძლოა მთელი სოფელი უმიწოდ დატოვონ. ეს კი მის დაღუპვას ნიშნავს, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით მიწის მყიდველი შესაძლოა იყოს მხოლოდ ისეთი პიროვნება, ვისაც დიდი ფართობების ყიდვაც შეეძლება, შესაძლოა ეს უცხოელიც იყოს. არ ვიცი, ჯერჯერობით როგორ დასრულდა კამათი პარლამენტში მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მიწის დაკარგვა სოფლის დაცლას ნიშნავს. ეს კი ფაქტობრივად ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის ტოლფასია.

შეიძლებოდა კრედიტების მიზნობრივი გამოყენება საკრებულოების მეშვეობით, თუკი ეს საკრებულოები დემოკრატიულად იქნებოდნენ არჩეულნი. საკრებულოებს უნდა ევლებოდეთ იმ ორგანიზაციული სამუშაოების შესრულებაც, რასაც თავს ვერ ართმევს ვერცერთი ინდივიდუალური მესაკუთრე.

კრედიტები საზღვარგარეთული იქნება თუ შინაური, სულ ერთია, უნდა გამოყენებული იქნას ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად. მაგრამ ეს მანქანა-იარაღები ისე უნდა განაწილდეს, რომ ისინი აკონტროლონ უშუალოდ მიწათმოქმედებმა, ინდივიდუალურმა მწარმოებლებმა, და არა რომელიმე ბიუროკრატიულმა ორგანომ. კრედიტების ნაწილი კი ახალი თესლების და შესაწამლი საშუალებების შესაძენად დაიხარჯება.

დღეს კი, როცა ჩვენ ასეთ პირობებს მოკლებულნი ვართ, ადგილობრივ არჩეულებს არც ატარებენ და თუ ჩაატარეს, როგორ ჩაატარებენ, საკითხავია. უკეთესია თვითონ მიწათმოქმედები გაერთიანდნენ, ნებაყოფლობით საფუძველზე. და ყველა ის საზოგადოებრივად აუცილებელი სამეურნეო საქმე, რასაც ინდივიდუალური მესაკუთრე ვერ ასრულებს, მათ იტვირთონ.

რა თქმა უნდა, ეს გაერთიანება არ გულისხმობს კერძო ნაკვეთების გაერთიანებასაც. ჩვენი ვარაუდით, აჯობებს ამ მხრივ ინდივიდუალური მფლობელობა შენარჩუნებული იქნას.

ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში სახელმწიფოს მმართველი ორგანოები უნდა ზრუნავდნენ ასეთი საკითხების გადაჭრისათვის, მაგრამ ჩვენთან თუ კი შეგნებულად არ ხდება ამ პრობლემების გაუარესება, აღნიშნულ ორგანოთა სრულ გულგრილობას მაინც მივყავართ აქამდე. ამის გამო ეროვნულმა ძალებმა მაინც, თუ კი ისინი მართლაც გულწრფელად იბრძვიან ქვეყნის გადასარჩენად, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა სოფლის მეურნეობა სრული კატასტროფისაგან იხსნან. კატასტროფა კი გარდაუვალია თუ კი ასე გაგრძელდება.

აუცილებლად მიმაჩნია ეროვნული ძალების დახმარებით, თუნდაც ეროვნული ყრილობის საშუალებით შეიქმნას მინათმოქმედთა უფლებების დაცვის საზოგადოება.

ამ საზოგადოების ნარმომადგენლები აუცილებლად უნდა იყვნენ უშუალოდ სოფლის მეურნეობის წარმომადგენლების, მოქმედი მიწათმფლობელები, სპეციალისტები, ვინც უშუალოდ, პრაქტიკულად მონაწილეობენ დარგის მუშაობაში.

ცხადია მათს გარდა სხვებიც შეიძლება. რაიმენაირად უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რაც აგვაცილებდა თავიდან კიდევ ერთი არაფრისმაქნისი ფიქტიური ორგანოს ჩამოყალიბებას. ხელისუფლებას თუ კი ექნება სურვილი აიცილოს ასეთი საზოგადოების და საერთოდ ამ პრობლემის პოლიტიზაციის შესაძლებლობა, თვითონ უნდა ითანამშრომლოს მასთან.

ნ. ჭოლიკაური

რედაქციისაგან: გაზეთ „საქართველოს" მე-15 ნომერში ჩვენ გავაფრთხილეთ მიწის მიღების მსურველი მოქალაქეები, რომ ა. წ. 22 მარტამდე მოახდინონ მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სხვა ფორმალობების მოგვარება, რადგანაც 22 მარტის შემდეგ ისინი თვით მამაპაპეულ მიწაზეც კი საკუთრების უფლებას კარგავენ და მის მოიჯარეებად იქცევიან. რაც, რა თქმა უნდა, პარლამენტისა და ხელისუფლების არცთუ გონივრული პოლიტიკის შედეგია. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობისათვის საზღვარგარეთიდან მიზნობრივად გაცემული კრედიტები უნდა განაწილდეს პიროვნულად მათზე, ვინც აქტიური მეურნეა და არა ზოგადად, დარგების მიხედვით, როცა გაცემული თანხა ვის ჯიბეში ივანებს, კაცმა არ იცის. ამასთან, ალბათ, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კრედიტებზე დადებული საბანკო პროცენტები შემცირდეს ან სულაც მოხსნას.

ჩვენ ჩვენს ადგილზე დავბრუნდებით

ერთი კვირაა, რაც თბილისს „დეზერტირების" ბაზრის თევზით მოვაჭრენი გაიფიცნენ. მათ ქალაქს მერთანაც სცადეს მოლაპარაკება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

გავესაუბრეთ რამოდენიმე მათგანს.

— ჩვენს სავაჭრო ტერტორიაზე არ გვაჩერებენ, სურთ, რომ მესამე სართულზე იმ დახუთულ შენობაში შევიდეთ, სადაც თევზი დახლზე დალაგებიდან ერთ საათში უნდა გადავყაროთ.

როგორც მათი საუბრიდან გაირკვა, ბაზრის დირექციას მეთევზეების მიერ შეძენილი 18 მაცივარი თავის თევზიანად სადღაც წაუღია. მესამე სართულზე კი მხოლოდ ოთხი მაცივარი დადგეს. საინტერესოა, თევზი, რომელიც 18 მაცივარში ძლივს ეტეოდა, 4 მაცივარში როგორ უნდა ჩატიონ.

თევზით მოვაჭრეებისაგან ისიც გავიგეთ, რომ ბაზრის დირექციას ჩუმად შემოაქვს 3-4 ლარად „ბელუგა", რომელსაც შემდეგ



სარდაფში ბოლავენ, სადაც საშინელი სიბინძურეა და გასაყიდად გამოაქვთ.

არადა, თურმე თევზის გამოყვანას, სულ მცირე, 10-12 დღე სჭირდება, ბაზარში კი ერთ დღეს შებოლილი თევზი მეორე დღეს უკვე დახლზე აწყვია.

— ჩვენ, ასატრინას 10-12 ლარად ვყიდით, ისინი კი 17-18 ლარად. ქარხნული წესით გამოყვანილი ტონანახევარი თევზი გაგვიფუჭდა, საინტერესოა, ვინ აგვინაზღაურებს დანაკარგს.

თევზით მოვაჭრენი მოითხოვენ:

— დაგვიბრუნონ ჩვენი ადგილები და კი ბატონო, გააკეთონ მაღაზია და გაგვიწიონ კონკურენცია. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ და ჩვენს ადგილზე დავბრუნდებით.

დღეისათვის „დეზერტირების" ბაზარში ასეთი ფასებია:

გოჟი	—	**15-50 ლარი;**
ინდაური	—	**22 ლარი;**
ქათამი	—	**6 ლარი;**
საძონლის ხორცი	—	**3ლ. 50 თ.**
ღორის ხორცი	—	**5 ლ.**
იმერული ყველი	—	**2 ლ. 50თ.**
გუდის ყველი	—	**5 ლ.**
კარაქი	—	**4ლ. 50თ.**

მსოფლიო მარშემო

გერმანიის პრეზიდენტიც „აბრეშუმის გზის" შემატკივარია

გერმანიის პრეზიდენტმა რომან ჰერცოგმა ყირგიზეთში ყოფნისას ა. წ. 1-3 თებერვალს გულმხურვალედ დაუჭირა მხარი „აბრეშუმის გზის" პროექტს. ოფიციალურ სადილზე პრეზიდენტ ასკარ აკაევთან მან თქვა, რომ შუა აზიის ხალხებს დღეს შანსი აქვთ გადალახონ იმ „დიდი თამაშის" მემკვიდრეობა, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ თამაშობდნენ დიდი ძალები შუა აზიაში და რომელშიც ამ რეგიონის მკვიდრი ხალხები პაიკების როლში იყვნენ. მან გამოთქვა რწმენა, რომ აბრეშუმის გზის გაცოცხლება შუა აზიის ხალხებს ურთიერთკოოპერაციის საშუალებას აძლევს.

„აბრეშუმის გზა" უძველესი და სრულყოფილი მოდელია ერთაშორისი ურთიერთობისათვის. მისი მაგალითი გვიჩვენებს როგორაა შესაძლებელი, რომ ქვეყანათაშორისი სატრანსპორტო სისტემები შეთავსებული იყოს კულტურულ თვითმყოფადობასთან და რეგიონალურ თვითცნობიერებასთან — თქვა მან. — „აბრეშუმის გზა არასოდეს ყოფილა მხოლოდ სავაჭრო გზა. იგი კულტურათა მეკავშირეც იყო — აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შუამავალი. დღესაც იგი ამადვე უნდა დარჩეს. ახალი პროექტები სამართლიანად იწვევენ პოლიტიკოსების, ტურისტების, ინვესტორების და ტრანსპორტის მგეგმავების ენთუზიაზმს.

ამერიკაში ცოტა სხვაგვარად თქვეს

რუსეთის ტელევიზია გულღიად ესაუბრება მაყურებელს კოსმოსური სადგური „მირის" გაჭირვებაზე,. მაგრამ ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ა. წ. 30 იანვარს რუსეთის კოსმოსური სააგენტოს ლიდერმა იური კოპტევმა ცოტა მეტი თქვა. მან თქვა, რომ „მირის" ოპერაციულ მდგომარეობაში შენარჩუნების იმედები არ მართლდება. ამიტომ „მირი" ჩამოვა ორბიტიდან 1999 წლის ბოლოსათვის. დღეს როცა რუსეთი მონაწილეობს საერთაშორისო კოსმოსური სადგურის აწყობაში, იგი ვერ გასწვდება ერთდროულად ორივე სადგურის უზრუნველყოფას.

ამერიკულ თითის დაძღვევას არ ეპუებიან

რუსული „გაზპრომის" და მალაიზიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა თებერვლის დასაწყისში განაცხადეს, რომ სამხრეთ ფარსის (ირანი) ნავთობის პროექტში მონაწილეობაზე მათ ხელს ვერ ააღებინებს აშშ-დან მომდინარე დამუქრება, რომ იგი განახორციელებს სანქციებს თავის „ირან-ლიზიის" სანქციათა აქტის შესაბამისად. გაზპრომის წარმრომადგენელმა ლანკინმა თქვა, პროექტში მონაწილეობას მივიღებთ იმიტომ, რომ იგი არავის კანონებს არ არღვევს. ხოლო სანქციებით თუ ვინმე იზარალებს, ამერიკელები იქნებიანო. მან დასძინა, რომ ამ პროექტს რუსეთის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა აქვს, ელცინის ჩათვლით.

მალაიზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ანვარ იბხაჰიმმა ამ გარიგების გამო ამერიკული სანქციების დადება „ყოვლად შეუწყნარებლად" მიიჩნია. ამასობაში რუსეთი გაძლიერებულ ინტერესს იჩენს 1,6 მილიარდ დოლარად ღირებულ გაზსადენში მონაწილეობისადმი, რომელმაც გაზი თურქმენისტანიდან თურქეთში უნდა გადატუმბოს ირანის გავლით, ხოლო გაზპრომი რატომღაც გამოეთიშა ავღანეთის გავლით სამხრეთისაკენ გასაყვანი გაზის საერთაშორისო კონსორციუმს, სადაც მას კაპიტალის 10 პროცენტი ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალური ქრონიკა

გამდიდრება პენსიონერების ხარჯზე!

10 მარტს შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და შიდა ქართლის სახელმწიფო-საფინანსო ეკონომიკური კონტროლის კოორდინაციისა და საკონტროლო საქმიანობის მონესრიგების საბჭოს თანამშრომლებმა ამხილეს გორის რაიონის სოფ. ტირძნისის საფოსტო განყოფილების უფროსი, სოფ. მელეკრეკისში მცხოვრები 39 წლის როზა დარგუაშვილი, რომელმაც თებერვლის თვეში გაიტაცა 1997 წლის ოქტომბერში პენსიონერებზე გასაცემი 287 ლარი. დარგუაშვილი გაშვებულია ხელწერილით. იმავე დღეს ამხილეს გორის რაიონის სოფელ შინდისის საფოსტო სამსახურის უფროსი, იქვე მცხოვრები, 42 წლის მარიამ მაზმიშვილი, რომელმაც 1997 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიტაცა პენსიონერებზე გასაცემი 3500 ლარი. მაზმიშვილი გაშვებულია ხელწერილით.

იარაღი ჩააბარეს!

10 მარტს ზუგდიდში მცხოვრებმა 53 წლის რამინ ქარდავამ ზუგდიდში დისლოცირებულ, აფხაზეთის შს დროებით შტაბში ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკს“ 1 მჭიდით.

10 მარტს ხობის პოლიციას სოფელ ბიაშში მცხოვრებმა 55 წლის დემურ ჭითაიშვილმა ნებაყოფლობით ჩააბარა 1 ხელყუმბარა „ფ“-1 და 1 რგდ-5.

დააკავეს ძებნილნი!

10 მარტს დააკავეს ქურდობის ჩადენისათვის დიდუბის პოლიციის მიერ ძებნილი 18 წლის ალიკ ჩაგუნავა.

10 მარტს ხონის პოლიციელებმა დააკავეს საპატიმრო ადგილიდან გაქცევისათვის ძებნილი 50 წლის თამაზ კევლაძე.

9 მარტს მარტვილის პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამმართველოს მთავარი სამმართველოს, სამეგრელოს, სვანეთისა და სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის და ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ნასამართლევი ზუგდიდელები 23 წლის მამუკა კვარაცხელია და 28 წლის ბეჟან ჩიხლაძე, რომლებმაც 8 მარტს თავისუფლების ქუჩიდან თბილისში მცხოვრებ ანდიკო ქანთარიას გასტაცეს ავტომანქანა ვაზ-21011. ავტომანქანა დაუბრუნდა მფლობელს.

გუგუსიანი დანით დაჭრა!

10 მარტს 03 საათზე ხობის პოლიციის თანამშრომლებმა სენაკში დააკავეს 42 წლის რეზო ხარაიშვილი, რომელმაც 8 მარტს დანით დაჭრა მეზობელი ბაჩუკი გუგუსიანი.

ამჯერად ნარკოტიკებზე...

10 მარტს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს სამტრედიის რაიონის სოფ. გომში მცხოვრები ნასამართლევი 30 წლის ვეფხია მეგენეშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 9,1 გრ. მარიხუანა და დაადგინა, რომ იგი იძებნებოდა სამტრედიის პოლიციის მიერ ყაჩაღობისა და სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების ჩადენისათვის, აღძრული სს საქმე გადაეგზავნა სამტრედიის რაიონის პოლიციის განყოფილებას.

სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ...

8 მარტს კრიმინალური პოლ. სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ 27 იანვარს დაკავებულმა მიხეილ მინასიანმა 1997 წლის დეკემბერში გაქურდა როლანდ თედიაშვილის კუთვნილი კომერციული მაღაზია. 10 მარტს გატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 8 მარტს დაკავებულმა არღვლიანმა იმავე დღეს გაქურდა ვაკეში სტუდქალაქს დასახლებაში მცხოვრებლების მევლუდ ლოლაძის, ნოდარ პავლიაშვილისა და ავღანეთის მოქალაქის, უცხოელ სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის მუჰამედ ჰალიმ სულთანის ავტომანქანები. ნაქურდალი ამოღებულია.

ყაჩაღობის ყველა მონაწილე დააკავეს!

9 მარტს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილთან არსებული სპეციალური ჯგუფის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებებით დაადგინეს, რომ ადრე ყაჩაღობისათვის დაკავებულმა, ამჟამად პატიმრობაში მყოფმა, ე. წ. „ლოტკინის“ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, თბილისში მცხოვრებმა, 42 წლის კობა კობახიძემ, თელავის რაიონს სოფელ ნაფარეულში მცხოვრებმა, 28 წლის ბონდო ბუცინაშვილმა და თბილისელმა 22 წლის ჯემალ ჩოლიანმა, 44 წლის ავთანდილ თოდაძესთან და თბილისელ 34 წლის თემურ თოდაძესთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულებმა, 1995 წლის 25 იანვარს ყაჩაღური თავდასხმა მოახდინეს თბილისელ როზა ასლამაზოვას ოჯახზე. თოდაძეები დააკავეს.

შენგელია დანით დაჭრა!

10 მარტს სატრანსპორტო პოლიციის თბილისის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისში მცხოვრები, ნასამართლევი, 24 წლის მალხაზ კანდელაკი, რომელმაც სადგურ თბილისის ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას დანით მკვლავისა და ბარძაყის არეში დაჭრა თბილისში მცხოვრები 26 წლის ავთანდილ შენგელია.



ავტომანქანა გაიტაცა!

10 მარტს ასპინძის პოლიციამ დააკავა სოფ. ოშორაში მცხოვრები, 20 წლის პაატა სახელაშვილი, რომელმაც ბორჯომელ რომან ახვლედიანს ეზოდან გასტაცა ავტომანქანა ვაზ-2121.

1000,50 გრამი მარიხუანა დააკავეს!

11 მარტს შსს კრიმ. პოლ. დეპარტ. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში არსებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად აღნიშნული ბიუროს კახეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონის პოლიციის განყოფილების შესაბამისი სამსახურებისა და თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ლაგოდეხის რაიონის სოფ. მანიმში დააკავეს აზერბაიჯანის ბელაქნის რაიონის სოფ. შარიფში მცხოვრები, 37 წლის რამახან ქახაევი, რომელსაც აღმოაჩნდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა ერთი კილოგრამი და 50 გრამი.

10 მარტს ქვემო ქართლის შს პოლიციის სამხარეო სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად რუსთავის № 2 შრომა-გასწორების კოლონიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მცხოვრები 40 წლის მარინა ბლიაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 6 გრამი „ტრამალი“.

11 მარტს საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ ერგნეთში დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქუთაისელი, 37 წლის ბეგლარ თომაევი, რომელსაც აღმოაჩნდა 9,2 გრამი ოპუმი, 0,35 გრ. „ტრამალი“ და 3 მილიგრამი ანჰიდრიდი.

10 მარტს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურისა და თბილისის აეროპორტის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ბორჯომის რაიონის სოფ. ყვიბისში მცხოვრები 32 წლის ზაალ მგალობლიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 3,2 გრამი „ოპუმი“ და 5 მილიგრამი ძმარმჟავას ანჰიდრიდი.

იარაღი ჩააბარეს!

10 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში მცხოვრებმა 53 წლის იამზე შენგელიამ ზუგდიდის პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ“ ერთი მჭიდით და 30 ვაზნით.

10 მარტს ქარელის რაიონის სოფელ ავნევში მცხოვრებმა 48 წლის როლანდ ჭიღლაძემ ქარელის პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ხელყუმბარა შ-1 დეტონატორით.

11 მარტს გატარებული ოპერატიული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად სოფ. ავნევში მცხოვრებმა 23 წლის დიმიტრი დურგლიშვილმა ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატ აკმ-ის ერთი მჭიდი 14 ვაზნით და თვითნაკეთი ხელყუმბარა.

10 მარტს მცხეთის რაიონის სოფ. გლდანში მცხოვრებმა 32 წლის რუსუდან ვარდანაშვილმა ნებაყოფლობით ჩააბარა ხელყუმბარა შ-1.

დააკავეს ძებნილნი!

10 მარტს შსს კრიმინალური პოლ. დეპარტამენტ. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს კურსკის ოლქის კურჩატოვის პოლიციის მიერ თაღლითობისათვის ძებნილი 50 წლის გოდერძი მიქელაძე.

10 მარტს შსს კრიმინალური პოლ. დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს რუსეთის ფედერაციის ქ. ტვერის პოლიციის მიერ მკვლელობისათვის ძებნილი 35 წლის ზაზა ლომსაძე.

11 მარტს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში ვანის რაიონის პოლიციის თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი 31 წლის სოსო ბუცხრიკიძე.

11 მარტს ხონის პოლიციამ დააკავა ქურდობის ჩადენისათვის ხულოს რაიონის პოლიციის მიერ ძებნილი, 33 წლის მამია გორგაძე.

11 მარტს აბაშის პოლიციამ დააკავა ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი, 33 წლის თენგიზ მიმინოშვილი.

11 მარტს გურრის პოლიციის სამხ. სამმართველოს ოზურგეთის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ყაჩაღობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის, ცემისა და წამებისათვის, ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი 26 წლის თამაზ ქალდანი.

11 მარტს გურჯაანის პოლიციამ დააკავა ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი 23 წლის ალექსანდრე ივანოვი.

11 მარტს მცხეთის პოლიციამ დააკავა დეზერტირობისათვის ძებნილი, 24 წლის ბადრი ხომასურიძე.

10 მარტს სამტრედიის პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა ლანჩხუთში მცხოვრები 20 წლის ირაკლი ცინცაძე, რომელმაც 8 მარტს მოკლა ჩხაიძე.

ქორწინების სახლში იარაღი აღმოაჩინეს!

10 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში მიტოვებულ ქორწინების სახლის შენობაში სამეგრელოს სვანეთის სამხ. სამმართველოს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს 7 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი თავისი დეტონატორით, ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარის 12 სახელურ-დეტონატორი, ტყვიამფრქვევის 60 ვაზნა ავტომატის 6 მჭიდი და 570 ვაზნა, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის 2 ლენტი.

კიდევ ერთი ქურდგაცაცა

11 მარტს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურისა და სენაკის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სენაკელი 37 წლის გივი დანელია, რომელმაც თებერვალში გაქურდა სენაკელი ნანა კუჭავა-პაპასკირის სახლი.

10 მარტს სიღნაღის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. მაჩხაანში მცხოვრები 59 წლის ქტო ყატაშვილი, რომელმაც 8 მარტს იმავე სოფლის ტერიტორიიდან მოიპარა 80 კილოგრამი მაღალი ძაბვის ელექტროსადენი და 3 გადამცემი ბოძი.

ქალმა თუ აიწყვიტა...

11 მარტს, 19 საათზე სატრანსპორტო პოლ. თბილისის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ჭიათურელი 41 წლის ციალა კაპანაძე, რომელმაც სადგურ თბილისის პირველ ბაქანზე სამზარეულო დანით თავის არეში დაჭრა კაფე-ბარის გამყიდველი თბილისელი 36 წლის ნონა ხორავა. დანა ამოღებულია. კაპანაძე გაშვებულია ხელწერილით.

11 მარტს 23 საათზე სოფ. გობნევში მცხოვრებმა 17 წლის მალხაზ ქერდიყაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას დანით მუცლის არეში დაჭრა თანასოფლელი 18 წლის არჩილ მაყიშვილი, რომელიც მოათავსეს საავადმყოფოში. ქერდიყაშვილი დაკავებულია.

ქურდბაცაცები!

11 მარტს ბათუმის პოლიციელებმა დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ზედა ჯოჭოში მცხოვრები 21 წლის მინდია აფაქიძე, რომელმაც სხვა პირთან ერთად რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ქ. ერევანში მცხოვრებ 45 წლის რადიკ არუთინიანს გასტაცა ხელჩანთა პირადი ნივთებით.

* * *

11 მარტს შსს კრიმ. პოლ. დეპარტ. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული მასალების რეალიზაციის შედეგად დაადგინეს, რომ ამჟამად სხვა დანაშაულზე მსჯჯრდებულმა დედოფლის წყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედში მცხოვრებმა 30 წლის დავით ბუქურმა 1992 წლის გაზაფხულზე გაძარცვა ამავე რაიონის სოფ. არხილოსკალოში მცხოვრები ოისებ გილიგაშვილის საცხოვრებელი ბინა, რაზედაც დაზარალებულს თავის დროზე არ განუცხადებია სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ნაძარცვი ნივთების ნაწილი ამოღებულია.

* * *

12 მარტს ზესტაფონის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. სვირში მცხოვრებნი 20 წლის ლაშა კამლაძე და 21 წლის ზაზა ბოჭორიშვილი, რომლებმაც ამავე სოფლის აგურის ქარხნის ტერიტორიიდან მოიპარეს 60 ცალი დურალუმინის ყალიბი.

12 მარტს წყალტუბოს პოლიციამ დააკავა სოფ. მაღლაკში მცხოვრები 32 წლის გია კვერნაძე, რომელმაც სოფ. მაღლაკში ჩამოჭრა 800 მეტრი მაღალი ძაბვის ელექტროსადენი. ნაქურდალი ამოღებულია.

„ქალბატონმა“ 70 წიგნი მოიპარა

11 მარტს სატრანსპორტო პოლიციის ზესტაფონის პოლიციის თანამშრომლებმა სადგურ ზესტაფონის ტერიტორიაზე დააკავეს ჭიათურელი 30 წლის ხათუნა თოდაძე, რომელმაც საჩხერის განათლების განყოფილების ბიბლიოთეკიდან მოიპარა 998 ლარის ღირებულების 70 წიგნი.

11 მარტს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანში მცხოვრები 21 წლის კახაბერ მშვიდობაძე რომელმაც გია კუპრავას ბინიდან მოიპარა 680 ლარი და მაჯის საათი. დაკავებისას მშვიდობაძეს აღმოაჩნდა დანა. ნაქურდალი ამოღებულია.

სხვისი პენსიებით გამდიდრებული!

11 მარტს შიდა ქართლის სამხ. სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს გორის რაიონის სოფ. ზემო ნიქოზის ფოსტის გამგე იმავე სოფელში მცხოვრები 42 წლის ქეთევან მახარაშვილი რომელმაც მიითვისა 1997 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საპენსიო თანხა 2700 ლარის ოდენობით.

შსს პრესცენტრი
ხათუნა ნოზაძე

სპორტის სამყარო

საქართველოს ჩემპიონატის II წრე დაიწყო

თბილისი, ლოკომოტივის სტადიონი

თბილისის „ლოკომოტივი“	0
ქუთაისის „ტორპედო“	1

თბილისის „ლოკომოტივი“: ვოლკოვი, ამბიძე, ყაველაშვილი, ბარნოვი, ქველაძე (კოტორაშვილი 43 წთ), არჩვაძე, კვეტენაძე, ასპინძელაშვილი (გაგუა 75 წთ), დაუშვილი, ვასაძე (ი. ხუჯაძე 45 წთ), დათუაშვილი.

ქუთაისის „ტორპედო“: ასლანიძე, იონანიძე (შენგელია 83 წთ), ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყილაძე, კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (მეტრეველი 84 წთ), მეგრელაძე (ვაჩიბერიძე 89 წთ), ჩხაიძე.

მსაჯები: გუნთაძე, კახიანი, დოლიძე.

გაფრთხილება: შ. ხუჯაძე 80 წთ.

თბილისში ლოკომოტივის სტადიონზე განახლდა საქართველოს ჩემპიონატი. II წრის კალენდარულ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ I ჯგუფის უცილობელი ბინადარი ქუთაისის „ტორპედო“ და ამ ჯგუფის გათამაშების დებიუტანტი თბილისის „ლოკომოტივი“.

თამაშის I ნახევარი თანაბარ, დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ თამაშის პრაქტიკა აკლდათ. თამაშისას ფეხბურთელები ბევრს ცოდავდნენ გადაცემების დროს, თუმცა მეორე წრე ეს-ესაა დაიწყო და იმედია გუნდები მალე ჩადგებიან ჩვეულ ფორმაში. ქუთაისელები უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ეტყობოდათ მათ ნაყოფიერად გამოიყენეს ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენება, და როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად [illegible] საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. თუმცა მათაც ეტყობოდათ, რომ ჩვეული ფორმისაგან ჯერ შორს არიან. რაც შეეხება „ლოკომოტივს“ ისინი ქოტური მოქმედებითა და უაზრო ბურთის გორაობით შორს ვერ წავლენ. განსაკუთრებით სცოდავდნენ ნახევარმცველები, ისინი არაზუსტი გადაცემებით და მოედანზე ზანტი გადაადგილებებით რთულ სიტუაციაში ამყოფებდნენ დაცვის ხაზს. ამას ალბათ მოელოდა ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი და გუნდი ექვსი დამცველით ათამაშა, თუმცა ამანაც ვერ უშველა „ლოკომოტივს“. ბოლოსდაბოლოს, დაცვამ დაუშვა ის სავალალო შეცდომა, რომელმაც ქუთაისელებს სამი ქულა მოუტანა. მარჯვენა ფრთაზე მარტოდმარტო დარჩენილმა შ. ხურცაძემ ბურთი კარგად დაამუშავა, დაზღვევაზე გადმოსულ მცველს სისწრაფეში აჯობა და მეკარესთან პირისპირ გასულმა აუღელვებლად გაგზავნა იგი მარცხენა დაბალ კუთხეში. პირველ ტაიმში ამის მეტი არაფერი მომხდარა. თუ არ ჩავთვლით „ლოკომოტივის“ მწვრთნელის მიერ გაკეთებულ ორ შეცვლას.

მეორე ტაიმი ქუთაისელთა პრესინგით დაიწყო. მოედნის ყველა მონაკვეთში და განსაკუთრებით ლოკომოტივის საჯარიმოსთან აქტიურობდნენ „ტორპედოელები“. „ლოკომოტივიც“ დაიბნა და დაიწყო უთაცბოლოდ ბურთების მოშორება. ამ მომენტში ნაყოფიერად გამოჩნდა შალვა ხუჯაძე, იგი მოედანზე თითქმის ყველგან იყო. მაგრამ ქუთაისელთა პრესინგს შედეგი არ მოჰყოლია და ლოკომოტივმაც ნელ-ნელა დააწყო თამაში. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები რიცხობრივ უმრავლესობაში მოხვდნენ, მაგრამ ისევ შალვა ხუჯაძემ აკრძალული ილეთით შეაჩერა „ლოკომოტიველთა“ იერიში, რისთვისაც მატჩის არბიტრმა გუნთაძემ ყვითელი ბარათი უჩვენა მას. ლოკომოტიველთა რიგებში გამოირჩეოდა დათუაშვილი. ყველა ბურთი თითქმის მასთან მიდიოდა. იგი ანაწილებდა ბურთებს. თავადაც აკეთებდა რეიდებს. მაგრამ მთლიანად გუნდმა მას მხარი ვერ აუბა და როგორც მარტოკაცს, მას არაფერი გამოუვიდა. „ტორპედომ“ მოიგერია რა „ლოკომოტივის“ იერიშები, შეტევაზე გადავიდა. ისევ აქტიურობდა შალვა ხუჯაძე, ერთ-ერთ ეპიზოდში მან რამდენიმე ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა მცველები და მეკარესთან ერთი-ერთზე გავიდა. ქუთაისელთა სამწუხაროდ იჩქარა და მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. რამდენიმე წუთში „დინამოდან“ ახლად გადმოსულმა ჩხაიძემ, თავის ჩვეულ სტილში გრძელი რეიდი შეასრულა და მის ჩაკიდებულ ბურთს ნახტომში იონანიძე მისწვდა. აქ კი ვოლკოვმა სასწაული რეაქცია გამოავლინა და გუნდი იხსნა მეორე გოლისაგან. თამაშის დრო იწურებოდა, „ლოკომოტივმა“ საბოლოო შტურმზე გადასვლა დააპირა, მაგრამ „ტორპედო“, როგორც უფრო მაღალი კლასის გუნდს შეეფერება, აუღელვებლად იცავდა თავს და თავადაც საკმაოდ მწვავედ უტევდა. თამაშის ბოლო წუთებში „ლოკომოტივს“ შეეძლო მატჩის გადარჩენა. კუთხურიდან ჩამონოდებული ბურთი რიკოშეტით კარის შორეულ კუთხეში წავიდა, მაგრამ აქაც იმარჯვეს ქუთაისელებმა და ბურთი კარის ხაზს იქით გაგზავნეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მეორე წრის პირველი თამაში იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთაისელების პრეტენზიები კვლავ გაიზრდება საპრიზო ადგილის დასაკავებლად.

ამდენი უცხოელები იყვლიელებსაც მობეზრდათ

იტალიის ლიგა შესაძლოა ევროკავშირს დაეჯახოს. საქმე იმაშია, რომ იტალიელები ბოსმანისეულ კანონებს არაფრად აგდებენ და თავიანთ ჩემპიონატში უცხოელების რაოდენობის შემცირებას ამბობენ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ იტალიის სპორტის მინისტრმა ვალტერ ველტრონმა ოპოზიციური იდეა წამოაყენა. მისთვის სულერთი ყოფილა ევროკავშირელი და არაევროკავშირელი ფეხბურთელები. მადა ჭამაში მოდისო და ველტრონმა გუნდებში უცხოელი ფეხბურთელების შეკვეცაც მოინდომა. გეგმა კი ასეთია: თითოეული თამაშის 16 კაციან განაცხადში დიდი-დიდი ხუთი უცხოელი უნდა იყოს შეყვანილი. მინისტრის აზრით სერია A-ში თავის გამოჩენის საშუალება უნდა მიეცეს ადგილობრივ ფეხბურთელებსაც, ისინი, კი უცხოელ ვარსკვლავთა ჩრდილში იმყოფებიან.

ამ დღეებში გამართული იტალიის საფეხბურთო ლიგის თათბირის შემდეგ, ლიგის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ განცხადება გააკეთა, სადაც მან ველტრონის მოსაზრებას მხარი დაუჭირა.

— სრულიად ვეთანხმები მინისტრს. ევროკავშირი თანდათან ხვდება, რომ ფეხბურთი სულ სხვა რამაა და ამიტომაც ერთდროულად მოედანზე მყოფი უცხოელების რაოდენობა, რომ უნდა შემცირდეს, სადავო არ უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ მდგომარეობაში არ მოვხვდებოდით, ეს კანონი თავიდანვე რომ არ მიეღოთ. გარდა ამისა დღეს დარღვეულია თანაბარუფლებიანობა, მაგალითად, ფრანგ და ტურინელ ფეხბურთელებს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავი და თავი ფინანსური მოსაზრებითაა გამოწვეული. საკმარისია ვინმემ ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს და მისი საქმე სხვანაირად ეწყობა. მაგალითად, მე ვერ გამიგია, რატომაა ვეა მიჩნეული ევროკავშირის მოქალაქედ, კანუკი არა.

ვეა ლიბერიის ნაკრების წევრია, ჯიბეში კი საფრანგეთის მოქალაქის პასპორტი უდევს, ნიგერიელ კანუს კი ევროპული ქვეყნის პასპორტი არ ჰქონდა, ამიტომ იგი ვალდებულია სამი უცხოელის წესს დაემორჩილოს. საფეხბურთო ლიგა აღნიშნავს, რომ ეს იდეა, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი სხვას ეკუთვნის, ის კი უბრალოდ იზიარებს მას.

სტოქტონი კვლავ ყურადღების ცენტრშია

15001 ქულა ნბა-ს საუკეთესო ფლეიმეიკერის კარიერაში

ჯონ სტოქტონს 26 მარტს 36 წელი უსრულდება. იგი უკვე თოთხმეტი წელია „იუტა ჯაზის“ ღირსებას იცავს. მას სულ ოთხი მატჩი აქვს გამოტოვებული. მთელი კარიერის მანძილზე სტოქტონს 15001 ქულა, 12552 პასი და 2595 ჩაჭრა აქვს გაკეთებული. იგი მეთოთხმეტეა, ვინც 1500-იან ქულათა ბარიერს გადაბიჯა. მას მიეკუთვნება ნბა-ს ყველა დროის აბსოლუტური რეკორდი ჩაჭრებსა, გადაცემებსა და ქულებში.



სამპრასის პირველობას საფრთხე ემუქრება



ჩოგბურთის მოყვარულთათვის პიტ სამპრასის სახელი ნომერ 1-თან ასოცირდება, იგი უკვე მეასე კვირაა პირველობას არავის უთმობს, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში მას საკმაოდ მიუახლოვდნენ სხვა ჩოგბურთელები. ქულათა სხვაობა იმდენად მცირეა, რომ ერთ-ერთ ტურნირზე პიტის წაფორხილება და შესაძლოა მან დაკარგოს პირველი ადგილი.

გასაგები უნდა იყოს ჩოგბურთის მოყვარულთა ინტერესი ყოველი ტურნირის მიმართ, სადაც სამპრასი თამაშობს, მაგრამ მათ მოლოდინს პიტი ყოველთვის ცივ წყალს ასხამს. ასე იყო ამჯერადაც, კალიფორნიაში მიმდინარე ვაჟთა ღია პირველობაზე პიტ სამპრასმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მესამე რაუნდში მან ტოდ მარტინი დაამარცხა 6:1, 7:5. მთლიანად თამაში საათი და ოთხი წუთი მიმდინარეობდა. ჩოგბურთისათვის ეს დრო ჩვეულებრივი ამბავია. მხოლოდ ჩვენი გაოცება გამოიწვია იმან, რომ პიტმა პირველი სეტი 25 წუთში დაამთავრა, ხოლო მეორე სეტში მარტინის გააქტიურებასთან დაკავშირებით სამპრასს თითქმის 40 წუთი მოუწია ბრძოლა, თუმცა სამპრასმა თავისას მაინც მიაღწია.

— თამაშის შემდეგ პიტმა განაცხადა, მარტინი კარგი მოთამაშეა, მან დაამტკიცა, რომ ბრძოლა შეუძლია ყველანაირ დონის ჩოგბურთელთან, მიუხედავად მარცხისა, მე თავად მომეწონა მისი თამაში მეორე სეტში. როგორც ამ სტუმეებიდან ჩანს, სამპრასი არა მარტო დიდი ჩოგბურთელია, არამედ დიდი პიროვნებაც ყოფილა. მან საჯაროდ თბილად მოიხსნა თავისი მეტოქე და არ იკადრა მეტოქის დამცირება წაგებული მატჩის გამო.

რაც შეეხება მის უახლოეს მდევრებს, პატრიკ რაფტერმა დაამარცხა უენ ფერეირა 7:5, 5:7, 6:4, ხოლო რაც შეეხება რუს ევგენი კაფელნიკოვს, მან შეხვედრა დათმო ბოგდან ფლორჩითან.

პარალელურად მიმდინარე ქალთა ღია პირველობაზე ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს. ჩოგბურთში ახლად დაბრუნებული შტეფი გრაფი ნახევარფინალშია. მან იოლად შესძლო მე-15 ნომრად განთესილი ნატაშა ზვერევა დაემარცხებინა ორ სეტში 6:3, 6:0. მსოფლიოს კლასიფიკაციაში მეორე ნომერმა ლინდსეი დევერპორმა 6:2, 6:2 მოუგო როქსანა დრაგომირს. ხოლო რეიტინგით მე-5 ჩოგანმა კონჩიტა მარტინესმა დაამარცხა ანა კურნიკოვა 6:3, 6:4. იგი მეოთხედ ფინალში მარტინა ჰინგინსს შეხვდება.

ქართველები ირანში არ მიდიან

ირანის ტურნირის ორგანიზატორებმა თავად ამოარჩიეს მონაწილეები. შემადგენლობა ასეთია: „უნგრეთი, იამაიკა, განა, ირანი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩილეს ფეხბურთის ფედერაციასთან ნაკრები გუნდების შეხვედრის საკითხზე. ასეთივე კონტაქტებია კვიპროსთან. ამ უკანასნელთა ნაკრები „კოკა-კოლას“ ტურნირში იღებს მონაწილეობას. დაბრუნების შემდეგ შეხვედრის თარიღზე დაიწყება მოლაპარაკება.

თბილისის „დინამოს“ „უემჩუჟინა“ შვასპინძლებს

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ „დინამო“ სოჭში გაემგზავრება 20 მარტს. გუნდს მასპინძლები სასტუმრო „უემჩუჟინაში“ დააბინავებენ.

შეხვედრა სოჭის ცენტრალურ სტადიონზე 21 მარტს 15 სთ-ზე დაიწყება. მასპინძელთა თხოვნით „დინამოელები“ დაესწრებიან სპეციალურად მოწყობილ სალამოს. თამაშის შემდგომ დარიგდება პრიზები. მატჩის გასამართად საჭირო თანხები „უემჩუჟინას“ ხელმძღვანელობამ თავის თავზე აიღო. ამ შეხვედრის გამო, „დინამოს“ შეხვედრა ზესტაფონის „მარგვეთთან“ 23 მარტის ნაცვლად 24 მარტს გაიმართება.

რაგბი ქართველი მორაგბეები საფრანგეთში მიემგზავრებიან

ქართველ მორაგბეთა გუნდი „ყოჩები“ საფრანგეთში მაინც გაემგზავრება, როგორც მკითხველისათვის ცნობილია ამ გუნდის ეს ვოიაჟი გარკვეული დროით გადადებული იყო. ის ფინანსური პრობლემები, რომელმაც ამ გამგზავრებას ხელი შეუშალა ლიკვიდირებულია. გამოჩნდა სპონსორი, რომელიც დააფინანსებს გუნდს.

„ყოჩებს“ ახალი მწვრთნელი ჰყავთ, რადგან როგორც ცნობილია ლაშა გეგენავა, რომელიც მთავარი მწვრთნელი იყო, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ბიჭები შეჯიბრებისათვის ემზადებიან. ვუსურვოთ წარმატება.

ბაჯბაჯა „ვაილეში“ გადადის

როინ კერძევაძე (მეტსახელად ბაჯბაჯა) სულ მალე დანიაში წავა. კერძოდ დანიის სუპერლიგაში მეოთხე-მეხუთე ადგილზე მყოფ „ვაილეში“. როინი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა და ვარჯიშობს და თანაც მომავალ გამგზავრებაზე ფიქრობს.

კრივი ქართველი მოკრივეები მინსკის ტურნირზე მიდიან

მინსკში მაისის თვეში ტარდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოდან ამ ტურნირზე გათვალისწინებული იყო ოთხი მოკრივის წასვლა (მათ ჰქონდათ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია მოპოვებული). ამ ოთხეულს კიდევ ერთი ქართველი დაემატა — ვლადიმერ ჭანტურია. მან სულ ცოტა ხნის წინ მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ქალაქ ჰალეს საერთაშორისო ტურნირში 81 კგ წონით კატეგორიაში და III საპრიზო ადგილი დაიკავა. სწორედ ამ ფაქტმა მისცა საშუალება ვლადიმერ ჭანტურიას მონაწილეობა მიიღოს მინსკში გამართულ ევროპის ჩემპიონატში. მათი სია კი, ვინც მინსკში გაემგზავრა, ასეთია: კობა გოგოლაძე, რამაზ გაზაშვილი, გიორგი კანდელაკი, თენგიზ ჯაოშვილი და ვლადიმერ ჭანტურია. ვუსურვოთ მათ წარმატებები.

ქალაქის მერია პრეზიდენტის განკარგულებას არ სცნობს!

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ საპარლამენტო სესიაზე ქვეყნის პრეზიდენტმა საჯაროდ დაუქნია თითი ქალაქის მერიის თავკაცებს და თუ არ ვცდები, გარკვეული ვადაც დაუწესა ქალაქში მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მე არ ვიცი, ამ თითის დაქნევამ თბილისის ცხოვრებას სასიკეთო რამ თუ დაატყო და ამას ჩვენ, რიგითი მოქალაქეები მაინცდამაინც ვერ ვგრძნობთ, მაგრამ გასაკვირი უფრო სხვა რამ გახლავთ: ამ საჯარო კრიტიკის შემდეგ ქალაქს „მამები“ უფრო მეტად გათამამდნენ და იმ დონემდეც კი, რომ არც პრეზიდენტს ეპუებიან.

საქმე შემდეგშია: საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წლის 31 დეკემბრის №667 დადგენილებით წერტილი დაუსვა ყოფილი სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრის გაუაზრებელი ქმედების შედეგად ამ ხუთი წლის წინ დაწყებულ დავა-კამათს და მერიის ხელმძღვანელობას დაავალა განეხილა და გადაეწყვიტა ბუნების დაცვის საზოგადოებისათვის ზემოთ ნახსენები პრემიერ-მინისტრის ბრძანებით წარმოებული შენობის სანაცვლოდ ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების გადაცემის საკითხი. პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებით თითქოს უნდა დამთავრებულიყო ბუნების დაცვის საზოგადოების ეს ოდისეა სხვადასხვა ინსტანციებში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ქალაქის მერიამ პრეზიდენტის ეს დადგენილება სრულიად უცერემონიოდ გვერდზე გადადო და დღემდე ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტას საშველს არ აყენებს.

ბატონმა პრეზიდენტმა ხსენებული დადგენილებით მრუდე სამართალი კი გაასწორა, მაგრამ უბედურება ისაა, ეს სამართალი მერიამ კვლავ გაამრუდა და სწორედ იმ ტერიტორიაზე, ანუ ყოფილი აბრეშუმის



ფაბრიკის ტერიტორიაზე მავანს და მავანს ნება დართო უკანონო მშენებლობა წამოეწყოთ. დავუშვათ (რაც ძნელი დასაჯერებელია) მერიამ არაფერი იცოდა ამ უკანონო მშენებლობის შესახებ და, ასე ვთქვათ, ვიღაცამ საკუთარი რისკის ფასად წამოიწყო იგი, მაგრამ ახლა მაინც, როცა მშენებლობის ტემპი დღითიდღე მატულობს, რატომ არ ჩამოკრავს განგაშის ზარებს და არ შეაჩერებს ამ უნებართვო „ხუროთმოძღვრებს“, რომლებიც გარდა იმისა, რომ უკანონობას სჩადიან, იქვე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური ნაგებობასაც საძირკველს უთხრიან.

მერიის თავკაცებს გაუგიათ ალბათ ქართული ანდაზა: ეგრე არ არი თაყაო, შენ რომ მამუ-



ლი გაყაო. ეგრე ნამდვილად არ არის, ბატონებო! მთელი ქალაქი ბენზინგასამართ სადგურად აქციეთ, ლამის ყველა ბაღი და სკვერი შემოსავლის წყაროდ გახადეთ და ამასაც რომ თავი დავანებოთ, ერთ უბრალო საქმეს, ქალაქის ნაგვისაგან გასუფთავებას ვერ მოაბით თავი (სხვა პრობლემებზე არაფერს ვამბობ) და ახლა, თითქოსდა ყველა საქმე საათივით გქონდეთ ანყობილი, მიადექით და ყოფილა აბრეშუმის ფაბრიკის ეზოში წლობით ნახარებ ხეებს ვიღაც უჩინმაჩინის ქუდიანს აჩეხინებთ, რომ იქ ამის ხარჯზე მომავალში ვიღაცამ ხელის (ან ჯიბის) მოსათბობი კაზინო, კაფე-ბარი, ბისტრო თუ ღმერთმა უწყის კიდევ რა საეჭვო დაწესებულება წამოჭიმოს.

ამასობაში ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიის მომავალი (პრეზიდენტის განკარგულებისამებრ) ბინადარი, ანუ ბუნების დაცვის საზოგადოება კვლავ ღია ცის ქვეშაა და სხვადასხვა ბიუროკრატიულ ინსტანციებში გამწარებული აფრიალებს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის №667 დადგენილებას, რომელიც მერიის მესვეურთათვის ფარატინა ქაღალდად ქცეულა.

მივმართავთ ბატონ პრეზიდენტს: როდემდის მოითმენთ მერიის ხელმძღვანელთაგან თქვენი გადაწყვეტილებების ასე აბუჩად აგდებას?

კ. გურული

რედაქციისაგან: **ჩვენი ფოსტა სავსეა უსულგულო ჩინოვნიკთა მიერ გამწარებული მოქალაქეების წერილებით. კანონის აბუჩად აგდება ჩვენში, ეტყობა, წესად არის ქცეული, მაგრამ ჩვენს ჟურნალისტურ პრაქტიკაში იშვიათად ვაწყდებით ისეთ რამეს, როცა ქვემდგომი ინსტანცია ასე ხელაღებით ამბობდეს უარს პრეზიდენტის განკარგულების განხილვაზე. ვფიქრობთ, ეს მართლაც საგანგაშო ფაქტია და გაზეთის რედაქცია შეეცდება ყოველმხრივ გააშუქოს იგი.**

ᲩᲣᲥᲘᲡ

მეძავი, — კრავია თუ ეშმაკი?..

მოზარდებს საღი რწმენა რომ მივცეთ, დიდი ძალა, მონდომება და სიყვარულია საჭირო. განსაკუთრებული მუშაობა კი ქალიშვილებთანაა საჭირო.

ცამეტი წლის იყო ნინო, როცა არასრულწლოვანთა ინსპექციამ აღრიცხვაზე აიყვანა, როგორც ძნელად აღსაზრდელი. ის მეძაობაში იყო შემჩნეული. ხოლო სულ მალე ვენერიული სენით დაავადებული, ცენტრალური კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერში მოხვდა, სადაც განყოფილების გამგის, ქალბატონი ლამზირა გამყრელიძის თბილი დამოკიდებულებითა და დიდი მეცადინეობით, ნინო განკურნა ავი სენისაგან.

ნინო სულ თოთო ჩამოიყვანეს საქართველოში. ის იშვილა ორმოცდათხუთმეტი წლის ვერიკო ნოზაძემ. რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან ჩამოყვანილმა გოგონამ ნამდვილი დედა (ეროვნებით რუსი „ქალბატონი“) ვენერიული ავადმყოფობით დაკარგა.

იზრდებოდა ნინო ქართველი ქალის ოჯახში, ქართული ტრადიციებით. ქალბატონ ვერიკოს კი სიბერე ეპარებოდა. სწორედ იმ წლებში, როცა ნინოს დედის ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდებოდა, ვერიკო ამას ვერ ახერხებდა ასაკის გამო. სამოცდაათს გადაცილებული მოხუცი, ვერავითარ მზრუნველობასა და მოვლას ვერ ახერხებდა ნაშვილების მიმართ. პირიქით თვითონ იყო მოსავლელი.

სწორედ ამ დროს მიატოვა ნინომ ოჯახი, სკოლაც, მეგობრებიც. თავისუფლება და ქუჩის ცხოვრება აირჩია მეგზურად. ჯერ იყო და დაუახლოვდა თავის მეზობელ, (უფრო სწორად, თვითონ ლიდიამ დაიმეგობრა, ტანაყრილი, ლამაზი გოგონა, ჯერ კიდევ, ცამეტი წლის) ეროვნებით რუს ქალბატონს. მანვე გააცნო ასაკოვანი მამაკაცები ნინოს, რომლებიც ლიდიას სოლიდურ თანხას უხდიდნენ ნინოს `სხეულისათვის. მას კი, პურის ფულიც ენატრებოდა, რათა

მოხუცი გამზრდელისათვის მიეტანა და თავიც ერჩინა. ხოლო როცა ლიდიას ნინო მობეზრდა, გააგდო კიდეც. მისი ნატიფი სხეულის ხარჯზე კარგა გვარიანად რომ მოსუქდა, ადგა გამდიდრებული „ქალბატონი“ და „დიდ„ რუსეთში გადაბარგდა სახოვრებლად. ნინოს კი წაართვა ის, რასაც ქალიშვილები ვერასოდეს ვერ იბრუნებენ...

ქუჩის ცხოვრებას და უზნეობას მინდობილი ნინო სრულიად მარტო აღმოჩნდა. საზოგადოება მისთვის თავს არ იწუხებდა, მაგრამ საბოლოოდ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გულთან მიიტანეს მისი მდგომარეობა და... იმ რაიონის გამგებელმა, რომელ რაიონშიც ნინო ცხოვრობს, ფულადი დახმარება გამოუყო მის ოჯახს. ხოლო რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექტორმა ნინო სკოლაში მიაბრუნა. გოგონა ბუნებით დაუმორჩილებელი არ იყო, მაგრამ მიჩვეულმა გახრწნილ ცხოვრებას, მისთვის უჩვეულო გახადა სკოლა და პატიოსნება...

და უცებ აღმოჩნდა, რომ ნინო ფეხმძიმედაა. რაღაც ტკბილმა და საამო გრძნობამ დაისადგურა მის სულში და მუცელი არ მოიშალა. სწორედ ახლახან გააჩინა ვაჟი, პატარა ლუკა.

დაუჯერებელია და საოცარიც, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ნინო სრულიად შეიცვალა. დედის გრძნობამ დაისადგურა მის სულსა თუ სხეულში. არც ბავშვის გაყიდვაზე უფიქრია. პირიქით, თავზე დაჰკანკალებს თავის პირმშოს, თუმცა პრობლემები ისევ გააჩნია.

როგორ უნდა არჩინოს მარტოკამ შვილი? მართალია, მშობიარობის ფულიც ისევ საგამგებლომ გადაუხადა, მაგრამ რა მოხდება ამის შემდეგ? მას ხომ ახლაც ძალიან უჭირს. ისევ ძველ გზას დაადგება ნინო? გაუსაძლისმა ცხოვრებამ რამდენი ადამიანი გადააგვარა, სოციალურმა უკუღმართობამ ბევრიც მრუდე გზაზე დააყენა.

მკითხველს, ალბათ, ისიც დააინტერესებს, თვითონ ნინომ იცის თუ არა საკუთარი შვილის მამის ვინაობა? დიახაც, რომ იცის... და მამაც საიდუმლოდ რეკავს. იქნებ მიხვდეს და იკისროს მამის ტვირთი, დაეხმაროს მარტოხელა, სრულიად ახალგაზრდა, ჩვიდმეტი წლის დედას, გაუმართოს ხელი შვილის აღზრდაში.

ბევრად უფრო პატიოსნად იქცევა ქალი, რომელიც თავისუფალი ცხოვრებით ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც შვილს ღალატობს. ამაზე დიდი და უნაზესი გრძნობა ხომ არ არსებობს. ნინოს ვურჩევთ იცხოვროს თუნდაც იმ პატარა ლუკას სიყვარულისთვის — პატიოსნად და მტკიცედ. დაძლიოს ჩვენი მოუწესრიგებელი ცხოვრების არტახები და პატივი სცეს დედობას. ის დღეს ბედნიერია და ყოვლისშემძლე, რადგანაც დედა ჰქვია.

იქნებ ნინოს, ამ უზენაესი გრძნობის, დედობის შემდეგ, უზენაესი გრძნობა, — სიყვარულიც ეწვიოს. ახალგაზრდობა სიბრძნის დაგროვების ჟამია, ოქროს წლები... თუ ეს წლები უღიმღამოდ წავიდა, რაღა იქნება სიბერე? იბადება კითხვა: მეძავი — კრავია თუ ეშმაკი?

ლანდა მასხულია.

სამხრეთ კორეასაც გაუჭირდა

აზიის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ ქვეყანაში — სამხრეთ კორეაში კორპორაციათა გაკოტრების რაოდენობა 1997 წლის დეკემბერში წინა წლისასთან შედარებით 1000%-ით გაიზარდა. აზიის საერთო საფინანსო კრიზისის შედეგად 15 თებერვლის „ვაშინგტონ პოსტი“ იტყობინება, რომ კორეის მთავრობის ექსპერტთა პროგნოზით წელს 53 ათასი გაკოტრება მოხდება. წინა წელს 16 ათასი გაკოტრება მოხდა, 1991 წელს კი — 10 ათასი.

თავისი სეპარატისტები იტალიასაც ჰყავს

იტალიის სეპარატისტული „ლეგა ნორდის“ სულ ცოტა 20 ათასი მომხრე შეიკრიბა 15 თებერვალს ვერონაში, სადაც ადგილობრივმა პროკურორმა ამ ლიგის 40 წევრს ბრალად დასდო ეროვნული სახელმწიფოსთვის საშიშროების შექმნა. თუ სასამართლო ამ დანაშაულს ცნობს, მაშინ სეპარატისტ ბრალდებულებს, რომლებიც ჩრდილო იტალიას „პადანად“ ნათლავენ, მთელი სიცოცხლით პატიმრობა ელით. ლიგის ლიდერს უმბერტო ბოსის და მის რამდენიმე კოლეგას, რომელნიც პარლამენტის წევრები არიან, აგრეთვე სასჯელი ელით, თუ პარლამენტმა ხმა მისცა მათთვის სადეპუტატო შეუვალობის (იმუნიტეტის) მოხსნას.

ვერონის დემონსტრაცია გამიზნული იყო ხელისუფალთა დასაშინებლად, რომელთაც ლიგის წევრები, ჩვეულებრივ, არც თუ თავაზიანი გამოთქმებით მიჰმართავენ ხოლმე. არც „პატარა ლუჩე“ უმბერტო ბოსი არის გამონაკლისი. ამას წინათ მან განაცხადა, რომ ლიგის მოქმედება მშვიდობიანი იქნება, თუმცა, როგორც გვიჩვენებს ტელევიზიის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა, „ჩრდილოეთის ხალხის“ 40% იარაღის ძალით გამოყოფის მომხრეა. „ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ იარაღს მივმართავთ“ — დასძინა ბოსიმ — „მაგრამ იმას კი ნიშნავს, რომ პადანის ხალხს ეს მდგომარეობა ყელში ამოუვიდა“.

ჩინეთი შეჩერებას არ აპირებს

ჩინეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელთაც განვითარების ყველაზე მაღალი ტემპი აქვთ აღებული. როგორც განაცხადა ჩინეთის კომუნიკაციათა მინისტრმა 14 იანვარს პეკინში, ჩინეთი გეგმავს გზებისა და აეროპორტების მშენებლობის დაჩქარებას. დღეს ჩინური ეკონომიკის ვიწრო ადგილია ტრანსპორტი, მაგრამ 2020 წლისთვის მდგომარეობა უკვე გასწორდება, XXI საუკუნის შუისთვის კი ჩინეთს სავსებით თანამედროვე სატრანსპორტო სისტემა ექნება.

2000 წლისთვის ჩინეთი აპირებს შვიდი დიდი სატრანსპორტო არტერიის შექმნას. გასულ წელს მან ააშენა 27 ათასი კმ. გზა, 1313 კმ. საექსპრესო გზების ჩათვლით. გასული წლის ბოლოს მისი დიდი გზების კილომეტრაჟმა 1.21 მილიონს მიაღწია. ასეთივე ძალისხმევა ჰხმარდება საზღვაო პორტებისა და აეროდრომების მშენებლობას.

7000 წლის ობსერვატორია... გერმანიაში

განსხვავებით მსოფლიოს ზოგი სხვა რეგიონისაგან, ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპა მაინცდამაინც ძველი ცივილიზაციის კერად არ ითვლება. მით უფრო დიდი სენსაციაა გერმანელი არქეოლოგების მიერ ა. წ. 14 თებერვალს 7000 წლის ასაკის მზის ობსერვატორიის აღმოჩენა. რამდენიმე ელიფსური ნაგებობა, რომელიც ნაპოვნია ბავარიის სხვადასხვა ადგილას, ნაწილებია მზის კალენდრისა, რომელიც ბუნიობათა უდიდესი სიზუსტით განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

საზღვრები

ლუის კორინთი

ლუის კორინთი დაიბადა 1858 წლის 21 ივლისს აღმოსავლეთ პრუსიაში ტყავის მწარმოებლის ოჯახში, მისი ოჯახი შეძლებული იყო და ამან მხატვარს საშუალება მისცა კონიგსბერგში გიმნაზიის დასრულების შემდეგ (1873) ხატვა შეესწავლა პირველად კონიგსბერგში, შემდეგ მიუნხენში, ანტვერპენსა და პარიზში. იგი ეწინააღმდეგებოდა აკადემიზმს, მაგრამ ამ წლებში არც იმპრესიონიზმის მიმართ რჩება გულგრილი. ამ დროისთვის იგი გატაცებულია კურბეს მოწაფის ვილჰელმ ლაიბლის ნატურალისტური მხატვრობით. ბერლინში ყოფნის შემდეგ (1887-88) 1891 წლამდე ის კონიგსბერგში ცხოვრობს, შემდეგ კი მიუნხენში გადადის. პორტრეტები და ფიგურათა კომპოზიციები, პლენერი და ბრძოლის სცენები განსაზღვრავენ შემდგომ წლების მის მხატვრობას, რომელიც სტილისტურად გადაუწყვეტელია.

1896 წელს ის ქმნის თავის ავტოპორტრეტს ჩონჩხთან. მაქს ლიბერმანთან და ვალტერ ლაისტკოვთან შეხვედრა ბერლინში 1900 წელს ბიძგს აძლევს მისი სტილის გადაწყვეტას. ამას ხელი შეუწყო მისმა გადასვლამ მიუნხენიდან ბერლინში, სადაც მისი სეცესიების არჩევა ხდება და ვლინდება, როგორც პორტრეტისტი. 1903 წელს იგი ქორწინდება თავის პირველ მოწაფეზე შარლოტა ბერნლიზე.

მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში უკვე მკაფიოდ გამოვლინდება მისი პალიტრა. მისი „ზოგჯერ“ აკადემიურად მოქმედი ფერწერა უახლოვდება ისეთ თავისუფალ მონასმევს ფუნჯისას, როგორიც გერმანული იმპრესიონიზმისთვის ტიპიურია და რომელსაც კორინთი ლიბერმანთან ერთად რეპრეზენტაციას უკეთებს. ხდება მისი შეცნობა, როგორც პორტრეტებისა და ნატურმორტების მხატვრისა. 1911 წელს მას დამბლა ეცემა. 1912 წელს ოდნავ გამოიკეთებს და კვლავ აგრძელებს მუშაობას. შემდგომ წლებში კორინთი მიემგზავრება სამოგზაუროდ იტალიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. 1919 წელს ის ქმნის ნამუშევრებს, სადაც უკვე ჩანს ექსპრესიული ელემენტები, შეაქვს უკიდურესად პასტოზური ფერები. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ქმნის „ეკუ ჰომოს.“ გარდაიცვალა 1925 წლის 17 ივლისს, ჰოლანდიაში მოგზაურობის დროს.

ლუის კორინთის შემოქმედება ხელოვნებათმცოდნეებში დღემდე საკამათოა. მის შემოქმედებასთან დაკავშირებით დასმული პრობლემები საკმაოდ რთულია ამოსახსნელად, ყველა ეტიკეტი, რომლითაც მის ხელოვნებას სჯიან, ზუსტად არ შეესაბამება კორინთის შემოქმედებით ასპექტებს. ის არის როგორც ნატურალისტი, ასევე სიმბოლისტი, როგორც რეალისტი, ასევე ექსპრესიონისტი. იმპრესიონისტი კორინთი საერთოდ არ არის.

მისი შემოქმედება ეპოქის შესაბამისად მიემართება. მისი ყოველი სურათი სავსეა დრამატიკით. თვით პეიზაში, ყვავილების ნატურმორტში ჩანს მოაზროვნე ადამიანი, რომელიც დაშვებული ძალებით (ავადმყოფობის შემდეგ) სამყაროს ნაზად და მგზნებარედ შეიგრძნობს. თითქოს მასთან უნდა ჩახუტება.

გიმნაზიის წლებში ის გატაცებული იყო ანტიკური მითოლოგიითა და ბიბლიური მოტივებით. იგი სწავლობს სხვადასხვა სკოლებში, აკადემიებში კონიგსბერგში, მიუნხენში და პარიზში. ეს, რასაკვირველია, ახდენს მასზე დიდ გავლენას. პარიზულ წლებში მისი იდეალი იყო მაისონისი, მაგრამ ასევე მოსწონდა კურბეს რეალიზმი. მისით ისევე იყო მოხიბულლი, როგორც რუბენსით, რემბრანდტით, ჰალსით. მაგრამ მასზე საკმაოდ ძლიერად მოქმედებს პარიზში გერმანელ მხატვარ ვილჰელმ ლაიბლთან შეხვედრა, რომელიც მას უძლიერესად აჯადოვებს. ლაიბლის ხელოვნება კორინთს გერმანიაში აბრუნებს. ბერლინისა და კონიგსბერგის შემდეგ 1891 წელს ის კვლავ მიუნხენში მიდის, სადაც საუკუნის ბოლომდე რჩება.

ლუის კორინთი „ხიდის“, „ცისფერი მხედარი“-ს მხატვრებთან არანაირ კავშირში არ იყო. ასევე ვალტერ ლაისტიკოვთან, რომელთანაც მეგობრობდა, ჰქონდა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობა. თვით მაქს ლიბერმანთანაც კი, რომელთანაც ის ხშირად იყო ნახსენები, არავითარი საერთო არ აქვს. სინამდვილეში იგი გატაცებული იყო მხოლოდ ძველი ოსტატებით. რემბრანდტისა და ფრანც ჰალსის ნახვა იყო მისი ბოლო მოგზაურობის მიზანი. კორინთი იყო გამჭოლად მოაზროვნე ადამიანი. კორინთს შეეძლო რეალობაზე განივრული რეაქცია მოეხდინა, მას ჰქონდა უკიდურესი დაძაბულობები გადასატანი. ის მძიმე დეპრესიისაგან დათრგუნვილი იყო და დრამატულად განიცდიდა შემოქმედებითი წვის ყოველ ფაზას... ის კონცენტრირდებოდა ადამიანთა შორის დაძაბულობებზე, მათ საიდუმლო აგრესიებზე, ეროტიკულ მიზიდულობებზე. თითოეულ ფიგურაში მასთან არის დრამა, თუნდაც ეს იყოს პეიზაჟი, ამინდის ცვლილება, სინათლის ცვლა, და ყვავილების თაიგული ლარნაკში. მისი ყველა ყვავილი, ხე, შეიძლება ითქვას, აქტიორია დრამისა.

კორინთის გვიანი სურათები საუბრობენ საკუთარ აღგზნებულობაზე, რომელიც ხელოვანს ავადმყოფობის დროს ახასიათებდა. და ის გამოვლინდებოდა როგორც ვუტალუტეტი, ველურობა მისი ტემპერამენტისა. ეს აღგზნება არ იყო სპირიტუალობა. ეს მოდის მხატვრის ცნობიერებიდან. მუშაობის დროს მის სურათზე აისახებოდა მისი მრავალმხრივი ხედვა, საცოდაობა დათრგუნული სხეულისა, რომლის დაძლევასაც ის ცდილობდა. ეს იყო მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი. ეს იყო ხილული ტრიუმფი, რომელიც იყო მის სურათებში, და რომელიც მისთვის ასე დიდი და აქტუალური იყო.

ნათია ბახტაძე
ხელოვნებათმცოდნე

გამოფენა

თორმეტ მარტს გალერეა „ორიენტში“ გაიხსნა მხატვარ გიორგი გუგუშვილის გამოფენა. ეს დღე იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ გარკვეული დროის განმავლობაში გალერეა დაკეტილი იყო. 12 მარტს კი გალერეა ახლებურად გაკეთებული, ახალი ენერგიით შეუდგა საგამოფენო ცხოვრების ახალ ეტაპს. და აი, მისი პირველი სტუმარი 1998 წლის 12 მარტს იყო გიორგი გუგუშვილი. გიორგი გუგუშვილი მრავალი გამოფენის ავტორი თუ მონაწილეა.

დაწყებული 1980-81 წლიდან 1995 წლამდე ის იღებს მონაწილეობას მრავალ თეატრის მხატვრობას სპექტაკლებისთვის: „კოლხეთის დაბლობში“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „თეთრი ბაირაღები“. არის ტელეფილმების „რადიო-სითის“, „ოდეონის“, „ფლეშ ართ“-ის, „ბალეტმეისტერის“ მხატვარი. ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს ტელევიზიაში, კერძოდ მეორე არხის მთავარ მხატვრად. შესრულებული აქვს სასტუმრო „მეტეხში“ ინტერიერის დიზაინი. აქვს წარმოდგენები, კერძოდ სისლეი, ბენეტონი, პოლო, როდი ჯინსის ინტერიერი, თბილისის საკონცერტო დარბაზის დიზაინი...

ის არის ავტორი ჰუმანიტარული აქციისა „მხატვრები მეზუმს“ — ავტორი და ორგანიზატორი. დამდგმელი მხატვარია ფესტივალებისა „თბილისური გაზაფხული“ და „მოქალაქის დღე.“

12 მარტს იგი კვლავ წარსდგა მაყურებლის წინაშე მცირე, მაგრამ საინტერესო კომპოზიციებით. გამოფენა საზეიმოდ გაიხსნა და ამ ზეიმს მხატვართან და გალერეასთან ერთად ყველა მნახველი იზიარებდა.

მსოფლიოს მარშემო

ყირგიზეთს „აბრეშუმის გზის“ იმედი აქვთ

როგორც ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა 3 თებერვალს განუცხადა გაზ. „ფრანკფურტერ ალგემაინეს“, ეს გზა ყირგიზსტანს კეთილდღეობას მოუტანს. ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ყირგიზსტანი „ერთ დროს ყვაოდა ამ გზის წყალობით, სანამ მას საზღვაო გზა არ ჩაენაცვლა“. აკაევმა იმედი გამოთქვა, რომ ტრანსაზიური კავშირები განახლდება და დაიმოწმა „ყირგიზი ხალხის საუკეთესო ურთიერთობები ჩინეთთან ამ უკანასკნელი 3000 წლის მანძილზე“. ამჟამად ყირგიზეთის საგარეო ვაჭრობაში ჩინეთის წილი 2-დან 20-მდეა გაზრდილი. გარდა დიდი გზისა, რომელიც დედაქალაქ ბიშქექზე გადის, გაიხსნა პარალელური გზაც ოშზე გავლით. 2000 წლისთვის იაპონელთა და სხვათა სესხით აღდგება ბიშქექ-ოშის დიდი შარაგზა. გარდა ამისა ალმა-ატაში მუშაობა დაიწყო „შუა აზიის ბანკმა“ რომელიც ათეულობით პროექტებს დააფინანსებს.

წრეულს ყირგიზსტანსა და კაზახსტანს ტაჯიკსტანიც შეუერთდება როგორც შუა აზიის კავშირის აქტიური წევრი, თურქმენისტანი კი მასში დამკვირვებლის სტატუსს მიიღებს.

„აბრეშუმის გზასაც“ გვეცილებიან

ირანის სარკინიგზო კომპანიის ერთ-ერთი დირექტორმა რაჰმან დადმანმა იაპონიაში მოსამზადებელი მოლაპარაკება გამართა მომავალი კონფერენციისათვის „აბრეშუმის გზის“ თაობაზე, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღონ შუა აზიის სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის რკინიგზელებმა და იაპონელმა ბიზნესმენებმა. კონფერენციის მიზანია „შეისწავლოს კოოპერაციის შესაძლებლობები ძველი აბრეშუმის გზის გარშემო მდებარე ქვეყნებს შორის“.

ერთ-ერთი პროექტი და ერთ-ერთი სურვილი „აბრეშუმის გზის“ თაობაზე, რომლის განხორციელებასაც ცდილობენ გარკვეული ძალები დასავლეთში და აღმოსავლეთში არის ამ გზის გაყვანა მთლიანად ხმელეთით — ირანზე და არა ამიერკავკასიაზე.

ოქროს ფასი

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ იგი უდრიდა 276 დოლარს უნციაში, 28 იანვრისთვის იგი ავიდა 303 დოლარამდე. შვეიცარიელი ბანკირის კომენტარით, ამის მიზეზია „სამომავლოდ ყიდვის“ პრაქტიკა. ოქროსადმი ინტერესის გაზრდა მან მიაწერა კლინტონის წინააღმდეგ მოწყობილ სკანდალს და აშშ-ს სამხედრო მზადებას სპარსეთის ყურეში.

შფოთავენ ნავთობის ფასის დაცემაზე

ირანის კომერციის, ინდუსტრიის და მაღაროების კამერის გენერალურმა მდივანმა ალი შამს-არდაენიმ მოუწოდა „ოპეკის“ („ნავთობის გამტანი ქვეყნების ორგანიზაცია“) წევრ ქვეყნებს მოიწვიონ ამ ქვეყნების „სამიტი“, რათა მოილაპარაკონ ნავთობის ფასთა კატასტროფულად დაცემის თაობაზე. როგორც მან განუცხადა „ირან ნიუს“-ს, იგი სთავაზობს თავისი ქვეყნის პრეზიდენტს ითხოვოს სამიტის მოწვევა, რომელიც გადადებულია 20 წლით, რათა დაისახოს სასწრაფო ღონისძიებები ამ უბედურების დასაძლევად.

ორიგინალი

დღევანდელი ნომრის სტუმარია მსახიობი ნატო ფურცვანიძე

დაბადა 1970 წლის 18 თებერვალს. ზოდიაქოს ნიშანი მერწყული, წელიწადი — ძაღლი. თბილისის 155-ე სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე აქტიურ მოღვაწეობას ეწევა კმარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში. ჰყავს რვა წლის ვაუნიშვილი, დათა თავაძე. მისი ჰობი, — საკუთარი სპეციალობა. სამზარეულოში ფუსფუსი მაინცდამაინც არ უყვარს. საყვარელი კერძი: ყველი, სოკო, შოკოლადი, ზეთისხილი, ფორთოხალი.

— **ნატო, მიუხედავად თქვენი ახალგაზრდული ასაკისა, უკვე ბევრი საინტერესო სცენური სახის შექმნა მოასწარით. კმაყოფილი ხართ მიღწეულით, თუ ფიქრობთ, რომ მეტის გაკეთება შეგიძლიათ?**

— ღმერთმა დამიფაროს ოდესმე ისეთი რამ ვითამაშო, რომლის მერე არაფრის კეთება აღარ მომინდეს. ჯერჯერობით კი, იმის მეოთხედიც არ მაქვს გაკეთებული, რაც შეიძლება გაკეთდეს.

— **ამჟამად რეჟისორ დათო დოიაშვილთან მუშაობთ ოსკარ უალდის „სალომეა“-ზე. თქვენ სალომეა უნდა განასახიეროთ. არის რაიმე მსგავსება თქვენსა და მთავარ პერსონაჟს შორის?**

— ვფიქრობ, სხვაობა უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. თუმცა, საერთოსაც ვეძებ.

— **ამის გამო ხომ არ გაგიჭირდებათ თამაში?**

— მე მეშინია ამ პიესისა. მეშინია იმიტომ, რომ ფაქტიურად სიკვდილს უნდა ჩავხედო თვალებში. პიესაზე მუშაობას იწყებ თუ არა, ჩნდება რაღაც ამოუცნობი, რაზეც ჯერ აუცილებლად ლაბორატორიული სამუშაო უნდა ჩაატარო. თუ ეს არ არის, მაშინ იმ მასალაზე მუშაობა საინტერესო არაა. ფაქტიურად, პაციენტიც და მკურნალიც მე ვარ ჩემი თავისა. ამიტომ რთულია და ცოტა არ იყოს, მეშინია კიდეც.

— **საცნებო როლი გექნებათ...**

— არა მაქვს როლი, რომელზეც ვოცნებობ. მე სულ დაკავებული ვარ და დრო არც კი მრჩება საოცნებოდ. იცით, ღმერთმა გადმომხედა. ყოველთვის ვფიქრობ კონკრეტულ როლზე. ამიტომ, დღეს ჩემთვის საოცნებო როლი სალომეაა.

— **ნატო, ნანა ჯანელიძის ფილმში „იავნანამ რა ჰქმნა“, ქეთოს დედა ითამაშეთ. ამას ხომ არ უმოქმედია თქვენს დედობრივ ინსტიტუტებზე?**

— არა, პირიქით — როლზე იმოქმედა ჩემმა ინსტიქტებმა, მე ხომ მაშინ უკვე შვილი მყავდა.

— **ცხოვრებაშიც ხშირად გიხდებათ თამაში?**

— არა, იმდენს ვთამაშობ სცენაზე, რომ არანაირი ინტერესი არ მაქვს ცხოვრებაშიც ვითამაშო.

— **თქვენ დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ოჯახიდან ხართ. ალბათ, თქვენი პროფესიის არჩევაც ამ ფაქტმა განაპირობა?**

— ბავშვობაში ძალიან თავქარიანი ვიყავი. ეზოში სულ ბიჭებთან ვთამაშობდი. ახლაც მეგობრები მამაკაცები მყავს. როცა წამოვიზარდე და სკოლის დამთავრების დროც მოახლოვდა, ოჯახში ბჭობა დაიწყეს: მამა აკადემიაში ჩაბარებას მირჩევდა (სხვათა შორის, პატარაობისას „ვეერწავდი და ვხატავდი კიდეც“), მეც დავთანხმდი, მაგრამ ჩემმა მეგობარმა მსახიობებმა ზალიკო ჩიქობავამ და ნანი ჩიქვინიძემ გადამათქმევინეს.

მე არ ვიცოდი, თურმე, ბებიაჩემსაც სდომებია ჩემი მსახიობობა. ბოლოს კი აღარავინ მიჯერებდა, ყველას თამაში ეგონა. ორ თვეში გადავწყვიტე. აი, ასე აღმოვჩნდი თეატრალურ ინსტიტუტში.

— **თქვენს სახელოვან ბებიასა და ბაბუაზე რას გვეტყოდით?**

— მედეა ჩახავას ვერასოდეს აღვიქვამდი ბებიად, იმიტომ რომ ყოველთვის ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მე იგი ბავშვობაში წარმოდგენილი მყავდა ჭაღარათმიანი, მუდამ თბილი მოსასხამით, ჯოხით ხელში. ახლა კი, სულ სხვა საფეხურზე დავდექით. ბებიაჩემი ჩემთვის უძვირფასესი, უახლოესი მეგობარია. სხვა თუ არაფერი, ერთი გენეტიკური კოდი გვაქვს ჩადებული და ურთიერთობაც გვიადვილდება. კოტე მახარაძეს კი ადრეულ ასაკში იშვიათად ვხედავდი, მოგეხსენებათ, ოჯახური მდგომარეობის გამო. მაგრამ მასთან შეხვედრებს ყოველთვის ვაფიქსირებდი. ის ძალიან საინტერესო პიროვნებაა. ბაბუაჩემი არის სკივრი, რომელშიც ჩალაგებულია აურაცხელი რაოდენობა ინფორმაციისა, გრძნობისა, ცოდნისა და საერთოდ ყველაფრისა. ამ სკივრის ახსნა იშვიათად მიხდება, მაგრამ როცა ეს ხდება, უზომოდ ბედნიერი ვარ. ის რომ არა, ვერ დავუახლოვდებოდი არაჩვეულებრივ ქალბატონს სოფიკო ჭიაურელს, რომელსაც მოფერებით ბებინაცვალს, „ბაჩუნას“ ვეძახი და საოცარ მსახიობ ქალს ვერიკო ანჯაფარიძეს.

— **ნატო, ყველაზე მეტად რა გაშინებთ?**

— უმეცრება და ბოროტება ადამიანებისა. შიში მაქვს ტყუილისა და ღალატისა. კიდევ ქედმაღლობას და ამპარტავნობას გავურბივარ, მეშინია ეს სენი მეც არ შემეყაროს, რადგან ასეთი ადამიანები ვერ გრძნობენ, როგორ ცუდად იქცევიან.

— **თქვენ ტყუილი არასოდეს გითქვამთ?**

— ბოროტი ტყუილი არა. მე გლობალური ტყუილის მეშინია, რომელიც აღარ მთავრდება.

— **მოდას თუ მისდევთ?**

— უფრო ქვეცნობიერად, ვიდრე გაცნობიერებულად. ახალგაზრდა ოცდა დროს ვიცდიმენ. ბალაბანში რომ შევდივარ, ვიცი, რომ რაღაცა მინდა. რა მინდა, კონკრეტულად, არასოდეს არ ვიცი. ერთადერთი ჩემი სუსტი წერტილი სუნამოებია, მაგრამ არასოდეს არ მაქვს საშუალება შევიძინო. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ათი წლის შემდეგ, როცა ჩამოფასდება.

— **სთვლით თუ არა თქვენს თავს ემანსიპირებულ ქალად?**

— ბავშვობიდან ისე ვიზრდებოდი, რომ ფაქტიურად არაფერი მეკრძალებოდა, ამიტომ არ გამჩენია სურვილი ტყუილის, ცუდი ცხოვრების. როგორც მგონია, რომ უნდა ვიცხოვრო, ზუსტად ისე ვცხოვრობ. მე ზეწოლას არსაიდან არ განვიცდიდი და არც არავინ არაფერში მზლუდავს.

— **რა კითხვას დაუსვამდით საკუთარ თავს?**

— მე რომ ჟურნალისტი ვიყო, ალბათ, შეკითხვა ასეთი იქნებოდა — ნატო, რატომ გადაწყვიტე მსახიობობა?

— **პასუხი გაეცით.**

— ...?!

— **ახლა გაზაფხულია თავისი უმშვენიერესი დღესასწაულებით (დედის დღე, 8 მარტი). რას უსურვებდით ქალებს?**

— ვუსურვებდი ყველა პირობა ჰქონდეთ იმისათვის, რომ ქალებად დარჩნენ, შეინარჩუნონ სუსტი სქესის ყველა კარგი თვისება, არ გატყდნენ. ვუსურვებდი აუცილებლად დიდ სიყვარულს, უამრავ ყვავილებს და კარგ ამინდებს.

— **ნატო, თქვენთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საოცრად გულახდილი და სასიამოვნო ადამიანი ყოფილხართ. იყავით მუდამ ასეთი გულახდილი და მომხიბლავი, თქვენ კი ძალიან გიხდებათ. შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.**



ესაუბრა შორენა ძვრივიშვილი

მსახიობი და ცხოვრება

მე ღმერთმა გადმომხედა...

ხმა ხალხიდან

„უფროსი ძმის“ დევიზი: „ჩვენ უნდა აღვზარდოთ მათში რუსულად მოაზროვნენი. ტანი ჰქონდეს ქართული, აზროვნება — რუსული“

ამ ბოლო ხანს ბევრი დაიწერა და იწერება იმპერიის შესახებ, მისი დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის რუსოფილებისათვის, 200 წლის [illegible]ობამ გადააგვარა მათი ცნობიერება, მოსობაში დაბადებული და აღზრდილი ძალიან ხვდება, რომ ის მონაა. ამიტომ, რუსოფილები სსრკ-ის აღდგენასაც ოცნებობენ. იმპერია ჩინმოდლებით ადვილად ყიდულობდა თავის სასარგებლოდ ქართველის სულს. ალბათ ამან ათქმევინა აკაკის: „ჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

მაშ ასე,

1802 წლის შვიდ მაისს თბილისში დაარსდა რუსთა თვითმმართველობა, პატივაყრილმა ქართველობამ დაკარგა მამული და თავისუფლება.

1811 წელს ქრისტიანული რუსეთი ყელში ნვდა ქრისტიანულ საქართველოს, რათა ენა ამოეგლიჯა და გაერუსებინა. რუს პედაგოგ უშინსკის ეკუთვნის სიტყვები: „მოკვდა ენა, მოკვდა ერიო“ — და იერიში სწორედ ქართული ენის წასართმევად იქნა მიტანილი. „ენა დედაა ერისა“ (ილია) და ამ დედას გვართმევდა იმპერია.

იქ, სადაც ქართული ენა არაა გამოყენებული, უმეტესად ანტიქართული აზროვნება ბატონობს. ის აფსუები და ოსები ოცნებობენ რუსეთთან მიერთებაზე, რომელთაც რუსული აზროვნება აქვთ.

„კავკასიაში, შავი ზღვის ნაპირზე, უნდა ბატონობდეს მხოლოდ და მხოლოდ რუსის ეკლესია და რუსულად სწავლებაო“ — ბრძანებდა შავრაზმელი ვერეშაგინი. მათი მიზანი იყო დემოგრაფიული ცვლილებებით, ეთნიური გადაგვარებით საქართველო და ქართველი ერი მოესპოთ, აღეგავათ პირისაგან მიწისა. ეს კი უნდა მომხდარიყო ქართული მოსახლეობის აყრით და რუსების ჩამოსახლებით.

საქართველოსათვის აფხაზეთის ჩამოშორება მათი დიდი ხნის ოცნება იყო. და დღეს სწორედ „დემოკრატიულმა“ რუსეთმა მიზანს მიაღწია — აფხაზ და ოს სეპარატისტებთან მოლაპარაკებით, აფხაზეთი და შიდა ქართლი მოწყვიტა დედა-საქართველოს. რუსოფილები დღესაც იმ აზრის არიან, რომ თუ რუსეთს არ ჩაუჯექი კალთაში, ისე ვერ იცხოვრებ.

სამწუხაროდ, ისტორია, არქივი, დოკუმენტები სულ სხვას მოგვითხრობენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათი მიზანი იყო ქართველთა ფიზიკური მოსპობა და ეთნიური გადაგვარება. ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელმაც ნახევარი საუკუნე უცხოობაში გაატარა, წერდა: „პოლიტიკურად დამონებული საქართველო რუსეთმა აქცია თავის საშინაო ბაზრად, ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მწარმოებელს, ის ტყავს აძრობს საქართველოს, როგორც მომხმარებელს“.

იმპერიას გეორგიევსკის ტრაქტატის არც ერთი მუხლი არ შეუსრულებია. 200 წლის მანძილზე იმპერია ურცხვად ატყუებდა და დღეს კი ვითომ „დემოკრატიული“ — რუსეთი ისევე ატყუებს საქართველოს. მოტყუება, თაღლითობის მაგალითები კარგადაა ასახული წიგნში „ისტორიული რარიტეტები“, დიდი ივანე ჯავახიშვილის, სურგულაძის და ლისტის თანაავტორობით.

სამწუხაროა, რომ მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე ქართველობის ერთ ნაწილში ეროვნული ერთიანობის შეგნება, ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები — ორივე ფრთა ხელაღებით უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულს, ქადაგებდნენ და იბრძოდნენ ინტერნაციონალური, პროლეტარული ერთობისათვის. საშინელია ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია: „ქართველების მინა მარტო ქართველების როდია, იგი ეკუთვნის ყველა ხალხსო“ — ამ თეორიას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში; არც ერთი ერი არ უარყოფს თავის მეობას, და არც ერთი ერი არ გააჩუქებს საკუთარ მიწას, ეს მხოლოდ ქართველის დამახინჯებული ცნობიერებაა, საკუთარი უარყოს, სხვა ერების კეთილდღეობისათვის და თავის თავი რეზერვაციაში მოაქციოს. ამის მაგალითია გაჩუქებული ავტონომიები, გაჩუქებული მიწები, საინგილო, ლორე, ტაშირი, სოჭი.

აფხაზეთის ეკლესიის ისტორიაში გამარუსებელი პოლიტიკა მეტად სასტიკად ებრძოდა ყოველივე ქართულს და საერთოდ ყველგან რუსული სკოლებით, რუსული წირვა-გალობით, რუსული თვითმმართველობით უნდა მოესპოთ ქართველი ერი.

იმპერიამ გაანადგურა საქართველოს სამეფო არქივი (მოისყიდა ფრანგი ადოლფ ბერეე და მისი ხელით დააწვევინა). ამ არქივში ინახებოდა მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ატყუებდნენ ქართველ მეფეებს რუსის ხელმწიფენი და როგორ ულტდნენ ქართულ ჯარს, როგორ მოატყუეს ვახტანგ VI, თეიმურაზ მეფე, ერეკლე და გიორგი მეფე და როგორ დაიჭირეს ყველა ბატონიშვილი (ბაგრატიონები) და გადაასახლეს რუსეთში.

ისტორია რუსთა მიერ საქართველოს დარბევისა და აწიოკების უამრავ ფაქტებს ინახავს, ერთ წერილში ყველას ვერ ჩამოთვლი, ვერ აღნუსხავ.

საქართველოს მთლიანი ორგანიზმიდან უნდა გამოყოფილიყო სამეგრელო. შავრამზელი დეკანოზი ვოსტორგოვი ამტკიცებდა: „მეგრელებს [illegible] ნათესაობა არ აქვთ, ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენო“. ამიტომ იყო, რომ მეგრულ ენაზე დაიწყეს წიგნების ბეჭდვა, ამას მაშინვე ბანი მისცა სოხუმის ეპისკოპოსმა არსენამ. ეს ის არსენია, საგანგებო რეზოლუცია რომ მიაღებინა, რომლის ძალით, სოხუმის ოლქის სკოლებში, აღიკვეთა ქართული ენის სწავლება, ხოლო ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა. აი, როგორ ყავს „უფროსი ძმა“ მწერალ სიმონ ქვარიანს დახასიათებული: რუსის ჩინოვნიკების მოსვლისთანავე გაქრა იერიაში სამეფო მმართველობა, სამართალი, პიროვნებისა და საკუთრების ხელუხლებლობა, მათ ნაცვლად კი დამყარდა ხალხის რბევა, აწიოკება, ლანძღვა-გინება, ძარცვა-გლეჯვა, ცემა-ტყეპა, ნამუსის ახდა, დაუსჯელი თარეში, ქართველ ერს აეხადა ყოველი უფლება და გადაიქცა რუსი ჩინოვნიკების მონად და საბურთაოდ. ქრთამი და უნამუსობა ავიდა უმაღლეს წერტილზე და კიდევ უფრო უარესად იქცეოდნენ რუსისი ჯარები, უმეცარი, ლოთი, გაიძვერა, ფლიდი, ლაჩარი, ცრუ და გარყვნილი არსებანი — აი როგორი მოხელენი მოევლინენ რუსეთიდან უბედურ საქართველოს; აი, ვის ხელში ჩავარდა იმთავითვე მთელი ერის ბედი. ესენი ბატონობდნენ ქალაქებში, ესენი თარეშობდნენ სოფლებში და სჩადიოდნენ ენით წარმოუთქმელ საშინელებას“ (სამწუხაროა, რომ რუსოფილებმა და სტალინისტებმა ეს არ იციან ან არ სურთ იცოდნენ და არც დღევანდელ „დემოკრატიულ“ რუსეთს უყურებენ რეალური თვალით. მათი მსოფლმხედველობა ძალიან ჰგავს ს. ორჯონიკიძის მსოფლმხედველობას. ვითომ მე-11 არმიის შემოჭრისას საქართველოში მუშები და გლეხები, წითელი ჯარის დანახვაზე სიხარულისაგან ტიროდნენ).

ვორონცოვ-დაშკოვი წერდა ნიკოლოზ პირველს: „ჩვენი ვალია, აღვზარდოთ მათში რუსულად მოაზროვნენი. ტანი ქონდეს ქართული, აზროვნება რუსული“. ქართველს თურმე მუდამ უნდა ახსოვდეს მათი ფორმულა — **Люблю Грузию, только под властью России.**

იმპერია აღწევდა კიდეც მიზანს, იმპერიის მსახურთ — ქართველ გენერლებს, ჩინმოდლებით აჯილდოებდა სამშობლოს ღალატის ფასად.

იმპერიული სულით დაავადებულია რუსული მწერლობაც, იმპერიის ექსპანსიის გასამაგრებლად „ურყევ“ საბუთებს იშველიებდნენ, რუსეთმა უნდა იკისროს განაპირა მხარეების საუკუნოვანი ძილიდან გამოყვანა, აზიაროსო ისინი ცივილიზაციას, მათში ახალი ყოფა, ენა და სარწმუნოება დაამკვიდროსო. ისინი ველურები („დიკები“) არიან, ჩვენ კი კულტურა შეგვაქვსო. ამჟამადაც არც ერთ რუს მწერალს არ დაუგმია აფხაზეთსა და შიდა ქართლში უდანაშაულო ქართველების ულეტა.

ბევრმა არ იცის, თუ რატომ უწოდეს ბოლშევიკებმა ქიზიყის ერთ-ერთ კუთხეს — დედოფლისწყაროს „წითელი წყარო“ (მათი ცინიზმი სადამდე მიდის).

ეს მოხდა 1921 წლის თებერვალში, როცა საინგილოს მხრიდან დედოფლისწყაროში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრნენ „ლეგენდარული“ მე-11 არმიის ურდოები. მშიერ-მწყურვალნი შეესხენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავდნენ, ართმევდნენ სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, იარაღს, ცხენს, ყველაფერს, რაც კი მოეწონებოდათ, თან ცინიკურად იძახდნენ: „**товарищи, мы освободили вас.**“

გავიხსენოთ 9 აპრილის ჯალათთა შეძახილებიც, როცა ისინი ხოცავდნენ ჩვენს გოგო-ბიჭებს. „**Это вам за Берию,это вам за Сталина**“. ამრიგად, საბჭოთა რუსეთი ერთი წვეთითაც არ განსხვავდებოდა მეფის რუსეთისგან, ახლა ე. წ. „დემოკრატიული“ რუსეთიც არ განსხვავდება ამ ორისაგან. იგი ისევე სისხლისმსმელია ქართველი ერისა, როგორც წინა ორი. მაგალითი ხომ თვალწინაა: წართმეული აფხაზეთი, წართმეული შიდა ქართლი, დახოცილი 30 ათასზე მეტი უდანაშაულო მოსახლეობა და გამოდევნილი ათასეულები — რუსოფილებს კი ამის დანახვაც არ შეუძლიათ. სამწუხაროა, როცა მტერს მტრულად ვერ ცნობს კაცი და მოყვარეს მოყვრულად.

დედოფლისწყაროში მაშინ 50 კაციანი ქართული ჯარი იდგა, 50-ვე შეაკვდა მტერს, ყოველ ნაბიჯზე ქართველი ბიჭების სისხლის გუბეები იდგა. აი, მაშინ წაართვეს ბოლშევიკებმა დედოფლისწყაროს თავისი სახელი და უწოდეს „წითელი წყარო“, — უხაროდათ დაქცეული ქართული სისხლი.

არც იმ დაუპულთა რიცხვია დადგენილი, გასაბჭოების შემდეგ ანტისაბჭოთა ელემენტი რომ უწოდეს და რამდენი ქართველი ვაუკაცი გაულიტეს და ჩააწვინეს ციმბირის მიწაში.

შემონახულია დეამოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი სუზდალის საპყრობილედან, როცა მან გაიგო, რომ მოსკოვის ბუტირკის ციხეში დახვრიტეს 24 ქართველი მძევალი, შემდეგ 12 ამ საშინელი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

„უფროსი ძმის“ დევიზი: „ჩვენ უნდა აღვზარდოთ მათში რუსულად მოაზროვნენი. ზანი ჰქონდეს ქართული, აზროვნება — რუსული“

მეათე გვერდიდან

ველურობის გამო 1924 წლის 13 სექტემბერს, გამოაცხადეს გლოვის დღედ: ვგლოვობთ ამხანაგებს, საქართველოსთვის შეწირულ ვაჟკაცებს, ვგლოვობთ და ვგლოვობთ, თვით საქართველოს, განაწამებ საქართველოს, აკლებულს და აოხრებულს, რუსეთისაგან სისხლით შეღებილს და წამების ჯვარზე გაკრულს“.

აი, ვინ იყო და იქნება მუდამ „უფროსი ძმა“, აი, როგორ „გვიცავდა“ და „გვიცავს“ დღესაც უფროსი „ძმა“- (თუ არ მოხდა მისგან სრული გათავისუფლება).

გალაკტიონი ასე გვიხატავს საქართველოში რუსთა ბატონობის ამაზრზენ სურათს: „ცეცხლის ალით პკურებული, სულ მთლად განადგურებული, ან რუსეთის ვასალია, ქართლი, როსმე დიდებული. მძიმე ვინემ სხვა ტყვეობა, გაჩნდა ზიზღის სახეობა, რუსის მოხელეებისა იწყო მართვა-გამგეობა, იყო ძარცვა და მკვლელობა, მთელი მათი მმართველობა, როგორ ზიზღით უყურებდნენ, როგორ სძულდათ ქართველობა, სძულდათ როგორც სნეულება, მრავალსაუკუნოვანი ერის ზნე და ჩვეულება“.

1956 წელს „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა 90 ათასიანი ტირაჟით წიგნი „ყვითელი ლიმონი“. წიგნის ავტორია, ვინმე ივანოვი — აი, როგორ გვწყევლის: **“этого красного уксуса** (იგულისხმება ქართული ღვინო) **отрадясь ненавидел, и пусть его сосут носатые грузины, - травоеды, черномозая тварь в месте с Евреями и пусть оно все проволится в море с солнцем, вместе взятым“.** ანტიქართულ გამოხტომებს არც ახლა ივიწყებს ჩვენი „უფროსი ძმა“, აფხაზეთისა და შიდა ქართლის საკითხთან დაკავშირებით.

საქართველო უნდა იხსნას ერთიანობამ, სამწუხაროდ, პრესით, რადიო-ტელევიზიით, არ მიმდინარეობს საჭირო პროპაგანდა ამისათვის.

დღეს ქართველში დაბალია ეროვნული ცნობიერება, ამიტომ ქართველი ადვილად კლავს ქართველს. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ეროვნულ-პატრიოტული აღზრდისათვის.

ვორონცოვის ლოზუნგს უნდა დაუპირისპირდეს აღზრდა ქართული ცნობიერებით.

ციალა ბრეგვაძე

ვინც დღეს სახელმწიფო სამსახურშია, ღებულობს ხელფასს და უკრავს ტაშს, რა უნდა იმას აფხაზეთში?!

მკითხველისა იცის, რომ აპრილის თვეში დაგეგმილია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობის ჩატარება, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილთა საორგანიზაციო საბჭო უწევს ორგანიზაციას. მთავარზოგთ ბლიც-ინტერვიუს საორგანიზაციო საბჭოს ერთ-ერთ წევრთან, ბატონ როინ ახვლედიანთან.

— **ბატონო როინ, დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების ფონზე რამდენად რეალურად მიიჩნიეთ ეროვნული ყრილობის ჩატარება?**

— როგორ კითხრათ, აპრილისათვის ჩვენი, დევნილთა ყრილობა იგეგმება... ზოგიერთებს ცხელ გულზე უნდათ მეორე დღესვე მისი ჩატარება. ასე არ გამოვა, მომავალ ეროვნულ ყრილობას ჯერ დიდი სამუშაო სჭირდება, რათა საქართველოში არსებული ყველა ეროვნული პარტია მივიდეს კონსენსუსამდე, საერთო მიზანი დაისახოს, მერე უკვე

რეალური იქნება მისი მოწვევა.

— **აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ პოლიტიკოსებს შორის დიდი დაპირისპირებაა. დევნილ მოსახლეობას შორის თუ არის განხეთქილება?**

— „ივერიის“ საქმე დარბაზში დიდი ხანია ერთმანეთს ვხედებით. ლტოლვილი მოსახლეობის დიდი ნაწილი და საკოორდინაციო საბჭოს წევრები, მაგრამ ის ხალხი, რომელიც თბილად არიან სახელმწიფო სტრუქტურებში მოწყობილი, ჩვენს გვერდით დასადგომად მოსულები არ გვიხასხავს. ისინი უბრალოდ არ იზიარებენ ჩვენს ტკივილს. აქ მხოლოდ ორი დეპუტატი დაგვრჩა: ალექსანდრე ჯიქია და ბორის კაკუბავა, რომლებიც შემოდიან წინადადებით, რომ მოეხსნას დეპუტატობის სტატუსი აფხაზეთიდან არჩეულ ყველა პარლამენტარს და ჩატარდეს ახალი არჩევნები.

— **აფხაზეთიდან არჩეული ქართველი დეპუტატების გამოწვევა რამდენად წაადგება საქმეს?**

— თუ ჩაგვატარებინეს აქ პლებისციტი, არჩევნების ჩატარება სინდისს არ წარმოადგენს. მარტო დეპუტატებთან დაკავშირებით კი არა. მერია-გამგეობები რომ არიან აქ თბილად მოყუჩებული და ყალბი მოწმობების გაცემით სახელმწიფო ფულს იჯიბავენ. რადგან აფხაზეთში რეალურად დაბრუნება ჯერ არ ჩანს ჰორიზონტზე ის მაინც უნდა მოწესრიგდეს, რომ ლტოლვილები სადაც არიან, იქ მაინც იყვნენ ნორმალურ პირობებში.

— **ამ დარბაზში გამოტანილ მრავალ ტრაფარეტ-განცხადებებს შორის ერთი ასეთი შინაარსისაა: შევარდნაძე აცხადებს ერთ სულ დევნილზე თვეში 35-40 ლარ დახმარებას...**

— ეი., ეს მისი სიტყვებია.

— **რა ხდება რეალურად?**

— კომუნალური მომსახურეობა ამატებს, მაგრამ ჩვენი დაანგარიშებით 19 ლარზე ზევით ვერ ავედით. ორგანიზებულად ჩასხლებულ ლტოლვილს დღეში ძლევა 300 გრამი პური და 5 თუთრი.

— **ეს დახმარება საიდან ხორციელდება?**

— ლტოლვილთა და განსახლების მინისტროდან. ბიუჯეტიდან ფული ირიცხება ამ მინისტროში და სიების მიხედვით გადაირიცხება იმ რაიონებში, სადაც ცხოვრობენ დევნილები.

— **სხვა სოციალურ დახმარებაზე რას იტვით?**

— ამის გარდა სოციალური დახმარება არ არსებობს. წელიწადნახევარია არცერთი ლტოლვილს არანაირი დახმარება არ მიუღია.

— **საინფორმაციო საშუალებების განცხადებით დღესდღეობით დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის პროდუქტი და ფულადი თანხაა დატაცებული.**

— ზუგდიდის რაიონში 600000 ლარი დაიკარგა. ასეთი მასშტაბის დარღვევებია. აფხაზეთიდან დევნილთა რიცხვი ნამდვილად არ შეეფერება 288000-ს. ხობის რაიონში წერია 8000 დევნილი. მარტო ამდენი დევნილი რომ ცხოვრობდეს ასეთ პატარა რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის გარდა. მოსკოვის პროსპექტებს დაემსგავსებოდა ალბათ ქალაქი, მე მიმაჩნია, რომ ეს რიცხვები ფიქტიურად არის ქალაქდზე გაფორმებული, რათა მეტი ფული ჩაიდინონ ჯიბეში. ჩვენი მოთხოვნით რომ ჩატარდეს ნამდვილი აღრიცხვა, მაშინ მართლა მიიღებს თითოეული ლტოლვილი 35-40 ლარს, რადგან დღეს საქართველოში 150000-ზე მეტი ლტოლვილი არ ცხოვრობს. ღმერთმა ქნას, არ ვიხოცებოდეთ, მაგრამ... მარტო წინა კვირას 6 გაგრიდან დევნილი გარდაიცვალა.

— **შიმშილით?**

— შიმშილობა და ნერვიულობაა მთავარი მიზეზი. ეს მეც მელის, ჩემს შვილებსაც და ...

— **აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭო კატეგორიულად მოითხოვს ნადარეშვილისა და ერქვანიას გადადგომას... გყავთ რეალური კანდიდატურები მათ შესაცვლელად?**

— კი ბატონო. ჩვენ მათგან ვერც თანდგომა და ვერც პრინციპულობას ვერ ვხედავთ. ჩვენ ადგილებისათვის არ ვიბრძვით.

— **როგორ ფიქრობთ, ამ ხალხის პიროვნულად ჩამოშორებით გამოსწორდება ვითარება?**

— ამ ხალხმა ვერ იბრძოლა კორუფციასთან, იმ თავიანთ კოლეგებთან, რომლებმაც დალუნეს თავი, დახუჭეს თვალი და ცხოვრობენ თავისთვის, ვერც პატიოსანი კაცი დადგება მათ გვერდით. ვინც სახელმწიფო სამსახურში ღებულობს ხელფასს და უკრავს ტაშს, რა უნდა იმას აფხაზეთში?

ამიტომ ვითხოვთ ჩვენ: დარჩეს ძალისმიერი სტრუქტურები მინისტრთა საბჭოში, ჯანდაცვის სამინისტრო და განათლების სამინისტრო. დანარჩენი — „აფხაზ-პური“, „აფხაზთამბაქო“, ლტოლვილთა სამინისტრო, სოფლის სამინისტრო... რა საჭიროა, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ ხელფასები აიღონ?!...

ნათელა ხატიაშვილი

ზვიადისტებს არავის წინაშე დანაშაული არ ჩაგვიდენია

რა მდგომარეობაში ვართ? რაში ხედავს გამოსავალს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება?

მძიმე დღეები უდგას საქართველოს, მძიმე, მაგრამ არა უიმედო, ექვსწლიანი ურთიერთდაპირისპირების უკუნეთში იმედის მცირე ნაპერწკალმა გაიელვა და კეთილი ნიშანი მოგვცა: ერთ მაგიდას მიუსხდნენ ფაქტობრივი პრეზიდენტი და იარაღით დამხობილი, განდევნილი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები. მართლაც, ამ დიალოგის უშუალო მიზეზი მხოლოდ მძევლების უსისხლოდ განთავისუფლება იყო, მაგრამ თვით ფაქტი მათი ერთად დასხდომისა უკვე მნიშვნელოვანია. არავითარი კომუნიკე არ გამოქვეყნებულა და ამიტომ ჩვენც თავს ვიკავებთ კომენტარისაგან. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ჯერ სუსტი ნაპერწკალია, მხოლოდ კვესის გაკვრაა და სიბნელეში აბედის სუსტი გამონათება. თუ მას ხელი არ შევუწყვეთ, არ მოვეფარეთ, თუ სიძულვილის ქარიშხალი დავუბერეთ, ჩაქრება იგი და მერე ვინ იცის, კიდევ როდის გაჰკრავენ ტალკვესს, აბედს გააღვივებენ, ხმელებს მიუფიცხებენ, ქარს მოაფარებენ და ააგიზგიზებენ ალს იმედისას, ალს განწმენდისას, ალს სიცოცხლის განახლებისას? ჩვენ მივესალმებით ჯიხაშკარის კრიზისის უსისხლო განმუხტვას და დადებითად შევაფასეთ პრეზიდენტის მიერ გამტაცებელთა განთავისუფლება. მაგრამ ორივე ბანაკიდან (პოზიციიდან და ოპოზიციიდან) გამოჩნდა ხალხი, პიროვნებები, ჯგუფები, პარტიები და პარტიათა გაერთიანებებიც კი, რომელნიც ზოგი ერთ მხარეს და ზოგი მეორე მხარეს უკიჟინებს: მაგათთან როგორ დასხედით! არავითარი მოლაპარაკებებიო! კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება კატეგორიულად გმობს ასეთ ექსტრემიზმს და [illegible] ორივე მხარს უჭერს. ამ [illegible] ცხარეთა შორის [illegible] მეტიც, იგი თვლის, რომ ერის ნაწილი გაერთიანება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ დიალოგი მოლაპარაკებაში გადაიზრდება. მოლაპარაკებას მოჰყვება ერთობლივი ორგანოს შექმნა პარტიტულ საწყისებზე, თუ ამ ორგანოს მიეცემა ფართო რწმუნებანი, რომ მან ჩამოაყალიბოს საარჩევნო კომისია (ისიც პარტიტულ საწყისებზე), შეიმუშაოს და პარლამენტზე დაამტკიცოს ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო კანონი, თვით საარჩევნო კომისიას და იმ ერთობლივ ორგანოს დაევალოს დემოკრატიული, თავისუფალი, ყოველგვარ გაყალბებისაგან დაცული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ვისაც ხალხი აირჩევს (ასეთ პირობებში) ჩვენ (და დარწმუნებული ვართ ყველა პარტია და საზოგადოებრივი ფენა) ვცნობთ კანონიერ ხელისუფლებად. ამასთან, არჩევნებამდე აუცილებელია პრეზიდენტმა და პარლამენტმა მისცეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება 1991-92 წლების გადატრიალებას, მაგრამ არა ისე, როგორც რამოდენიმე დღის წინ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ — პარლამენტის სპიკერმა განაცხადა. ნუ ჰგონიათო, ბრძანა ბატონმა ზ. ჟვანიამ, რომ გადატრიალებას ჩვენ მივცემთ ცალსახა შეფასებას, როგორც დანაშაულს. ჩვენ უნდა შევაფასოთ ის ფაქტორები, რომელმაც მიიყვანა ხალხი იარაღის აღებამდეო. საკითხის ასეთი დაყენება შეცდომა კი არა, დანაშაულია, თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაული. ხელის დაფარებაა ამ უდიდესი ტერორისტული აქტის დამგეგმავებსა და შემსრულებლებზე. ჩვენ ვეკითხებით ბატონ ზ. ჟვანიას, რას უპასუხებდა იგი, თუ ვინმე იტყოდა, რომ 9 თებერვლის ტერორისტული აქტი ჩვენ კი არ უნდა დავგმოთ ხელაღებით, არამედ გამოვიკვლიოთ, ვინ მიიყვანა „საწყალი ტერორისტები“ იმ ზომამდე, რომ ესროლეს საქართველოს პრეზიდენტს? არა, ბატონებო, იარაღის აღმართვა კანონიერ ხელისუფლებაზე სისხლის სამართლის დანაშაულია (ისიც საერთაშორისო მასშტაბის) და ამას არავითარი გამართლების ძებნა არ სჭირდება. ამიტომ ჩვენ ისევ კატეგორიულად მოვითხოვთ პრეზიდენტმაც და პარლამენტმაც ოფიციალურად შეაფასონ ხსენებული გადატრიალება. ეს იქნება სასინჯი ქვა, სურთ თუ არა მათ ჭეშმარტად ერის გამთლიანება და აქედან ჩვენ შესაბამის დასკვნებს გავაკეთებთ. ასე მოიქცევა ერის ჯანსაღი ნაწილიც. ჩვენ სისხლხორცეულად დაინტერესებულნი ვართ ერის გაერთიანებაში, ჯანსაღ სტაბილიზაციაში და ამიტომ ვითხოვთ მათგან [illegible]92 წლის [illegible] ტერორისტული აქტის ობიექტურ შეფასებას და, რა თქმა უნდა, პოლიტპატიმრების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ჩვენ ვეთანხმებით პრეზიდენტს (ე. შევარდნაძის) მიერ ერთ საუბარში გამოთქმულ აზრს, რომ შეიქმნას კომისია პოლიტპატიმრის სტატუსის მისანიჭებლად კონკრეტული პირებისათვის. მაგრამ ეს კომისიაც მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები, თუ იგი შედგენილი იქნება თანაბარი რაოდენობის პოზიციისა და პარლამენტგარეშე ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან (საპარლამენტო ოპოზიციას ჩვენ არ ვთვლით ჭეშმარიტ ოპოზიციად. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც საარჩევნო კანონის მიღების ჩაუშლელობა „სახალხოების“ მხრივ, რაც ხალხს აშკარა მოტყუება იყო).

მეორე საკითხი, რასაც ჩვენ ვაყენებთ დღევანდელ პრესკონფერენციაზე, ეს გახლავთ პარლამენტში განხილული საკითხი ზვიადისტების შემორიგების შესახებ. ამის თაობაზე ჩვენ მასმედიის მრავალმა ორგანომ მოგვმართა, რუსთავის ტელევიზიითაც გამოვქვით (ძალიან მოკლედ) ჩვენი შეხედულება, რისთვისაც ყველა მათ დიდ მადლობას ვუუბნებით. მაგრამ აქ გვინდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მკაფიო და თანამიმდევრული პოლიტიკა ამ საკითხში.

ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანი იქნება ერის გამთლიანება, დიდი ეროვნული შერიგება (და არა შემორიგება), ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ და მივესალმებით. რატომ უარვყოფთ შემორიგებას? იმიტომ, რომ [illegible] გახლავთ დამნაშავის პატიება და მისი დაშვება საზოგადოებაში იმის მიერ, ვის მიმართაც ამ ჰირმა (თუ ხალხის ნაწილმა) ჩაიდინა დანაშაული. მაგრამ ჩვენ — ე. წ. ზვიადისტებს (და ზვიადისტურ მოძრაობას მთლიანად) არავის წინაშე დანაშაული არ ჩაგვიდენია. ჰირქით, ჩვენ ვიყავით (და გარკვეულწილად ახლაც ვართ) დანაშაულის ობიექტი (და სუბიექტი). ის, რომ ზვიადისტები არ ითხოვენ ფაქტობრივი ხელისუფლების დასჯას, უკვე მიტევებაა მათი მხრიდან და შემოსარგებელი მათ არაფერი სჭირთ. ამიტომ საკითხი უნდა დავაყენოთ ასე: ხელისუფლება საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი წყვეტს „ზვიადისტების“ დევნას და მკაცრად აღკვეთავს მათ ყოველგვარ შევიწროვებას, მისცემს სათანადო ორგანოებს მითითებას, რომ ყველა აღდგენილი იყოს მის წინა სამუშაოზე (თუ ასეთი ჯერ კიდევ არსებობს) და სხვა. ეს იქნება პირველი ეტაპი, საბოლოო კი მოჰყვება მხოლოდ იმ არჩევნებს, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ.

ორიოდე სიტყვა 9 და 19 თებერვლის ტერაქტების ორგანიზება-ჩატარებაში ზვიადისტების დადანაშაულების შესახებ. ზვიადიზმი, როგორც სწავლება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებელი განვითარების შესახებ ძირფესვიანად გმობს ტერორიზმს, როგორც ასეთს და, მითუმეტეს, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას. ვინც ანყობს ტერორისტულ აქტს, იგი გამორიცხავს თავის თავს ზვიადისტებისაგან. 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი ე. შევარდნაძის გუნდმა ჩაიდინაო, წერენ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ შევარდნაძეა დამნაშავე? რა თქმა უნდა, არა, ამიტომ, ბატონებო, ნუ აფურთხებთ იმ წმინდა წყალში, რომლიდანაც სიცოცხლის ძალას იკრებს საქართველოს თავისუფალი მომავალი.

ბოლოს, ბ-ნ გია ბარამიძის გულშემზარავი განცხადების გამო. როგორც გაზეთ „ალიას“ №38-დან გავიგეთ, ბატონ გია ბარამიძეს უბრძანებია: „სოციალისტებმა და მოქალაქეთა კავშირმა როგორ უნდა ვითანამშრომლოთ, როცა გამარჯვება ჩვენ სისხლით მოვიპოვეთ და გგონიათ ხელისუფლებაში მოგიშვებთ“- ო? რაზედაც ბ-ნ ვახტანგ რჩეულიშვილს კანონიერი კითხვით მიუმართავს: ძალიან საინტერესოა, ვისი სისხლით მოვიდნენო ხელისუფლებაში მოქალაქეთა კავშირელები.

დიახ, ბატონებო! ბრძენ ქართველ ხალხს ტყუილად არ უთქვამს: ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ათჯერ გატყდებაო. და აი, გატყდა კიდეც ახალგაზრდა (იქნებ იმიტომაც წამოსცდა სიმართლე, რომ ახალგაზრდაა), პერსპექტიული „მოქალაქეთა კავშირელი.“ დიახ, თქვენ სისხლით მოხვედით, თქვენ ძმების სისხლით იკვლიეთ გზა ოლიმპისკენ. გეყოთ, განწმინდეთ, გონს მოეგეთ! ჩვენ კიდევ ერთხელ გაძლევთ ამის შესაძლებლობას. გამოიყენეთ იგი, თუ კიდევ დაგრჩენიათ პასუხისმგებლობა თქვენი შვილების მიმართ (აღარას ვამბობთ სამშობლოზე).

ვახტანგ ბოძორიშვილი
კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით ამ საზოგადოების პრეზიდენტი
12.03.98.

ქალბატონ ნანული შევარდნაძეს

ქ-ნო ნანული, ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ ბევრ დიდ და კეთილშობილურ საქმეს აკეთებთ. ამან გამაბედინა ამ წერილის დაწერაც.

დიდ ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ უნდა შეგაწუხოთ ერთ საქმეზე, რომელიც უშუალოდ თქვენს კეთილშობილურ მისიის ფარგლებში შედის, კერძოდ:

ვარ ლტოლვილი, სოხუმიდან: ამჟამად თავს ვაფარებს ქმრის ნათესავებს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. ვცხოვრობდით ქ. სოხუმში. შემეძინა ტყუპი ბიჭები. ერთს თქვენი მეუღლის ეკლესიური სახელი გიორგი დავარქვით, იქნებ მასავით სიმართლისათვის მებრძოლი გამოდგეს-მეთქი. ერთიც მანამდე მყავდა.

ახლა სამი ვაჟიშვილის დედა ვარ. არ მაქვს შესაძლებლობა, რომ ჩემი ძუძუმწოვარა ბავშვები გავზარდო. მართალია, მეხმარებიან მეზობლები, ნათესავები, მაგრამ როდემდე? მეც ხომ მაქვს თავმოყვარეობა? ჩვენს რაიონში მყოფ ლტოლვილებს არავითარი დახმარება არ ეწევათ. ველით ჩემი მამამთილ-დედამთილის პენსიას და იმასაც თვეების განმავლობაში ვერ ვღებულობთ.

დახმარებისთვის მივმართეთ ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების ორგანოებს, მაგრამ გვითხრეს, ამასთან დაკავშირებით არავითარი კანონი არ არსებობსო. თუ ასეთი კანონი არ არსებობს, მაშასადამე საქართველო არ უნდა გამრავლდეს?

თქვენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ღირსეული პრეზიდენტის მეუღლეს, გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ, რა ვუყოთ ამ ბავშვებს?

ღრმა პატივისცემით
ნანა დვალი-სარჯველაძე
ლანჩხუთის რაიონი სოფ. ღრმაღელე-ომფარეთი

სტომატოლოგიური მკურნალობა ყველაზე იაფად, უმგკივნეულოდ!

სტომატოლოგიური ცენტრი **„არქიდენტი“** გიწვევთ მაღალკვალიფიციურ თერაპიულ, ქირურგიულსა და ორთოპედიულ მომსახურეობას უმტკივნეულო მეთოდით უახლესი მედიკამენტებისა და მასალების გამოყენებით, იაფად!

ვაწარმოებთ აგრეთვე ღრძილების მკურნალობას უმტკივნეულო ფიტო-პროთეო თერაპიის საშუალებით, სპეციალური უცხოური აპარატურით.

სტომატოლოგიური ცენტრი „არქიდენტი“

მისამართი: რუსთაველის პრ. №18 ტელ: 92-21-01.

Doka pizza

Doka pizza

94-07-00

სოსისით	2-00
ქათმის ხორცით	2-50
ვიჩინით	2-50
სოკოთი	2-50
ვიჩინით და სოკოთი	3-00

ადგილზე მიტანა 2-00

ბანცხადებები

ქირავდება კეთილმოწყობილი საოფისე ფართი 140 კვ. მეტრით, კოსტავას ქუჩაზე ტ. 39-31-75 ირინა, დათო

იყიდება ბენზინის გასამართი 17 ტონიანი კონტეინერი რუსეთის 4კვ. ვატიანი გენერატორით. ტელ: 39-31-75

იყიდება ჩქარი პროექტის 4-ოთახიანი უმაღლესად გარემონტებული ბინა, დურაღლაშვილის კრფანჯრით, ფლუზებით, სარდაფით, სამრიცი ოთახით, ავტომანქანის სადგომით. ფასი 14000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი მე-4 მიკრორაიონი მე-12 კორპუსი მე-3 სადარბაზო მე-7 სართული. ტელ: 53-38-16 სალამის.

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. 5 სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე მისამართი: მეტრო სამედიცინო ინსტიტუტი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან. ფასი 28000 ლარი. ტელ: 37-23-78.

ქირავდება ვაკეში ბარნოვზე ბინა დიდი ფართით, ბელეტაჟზე ფასი შეთანხმებით. ტ. 32-30-01

ქირავდება 2-ოთახიანი მაღალფასიანი ბინა თბილისელების მოედანზე ფართი 39 კვ. მეტრი, საჭირო ავეჯით და ტელეფონით. ფასი 250 ლარი. შეიძლება შეეკრება. ტელ: 63-65-63 ნინო.

ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა ქავთარაძის ქუჩაზე მორე სართული. რკინის კარით, ტელეფონით, აუცილებელი ავეჯით, ტელევიზორით. ფასი 100 დოლარი. ტელ: 32-10-55 30-15-36.

ვეძიებ გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი). არის კლასიკის, ბოროკის, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და „ქანთრის“ წარმომადგენელთა ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი.

იყიდება ვაკე ფშაველაზე სუფთა ბინა, სარდაფით, მისამართი: მე-6 კვარტალი მე-18 კორპუსი ბინა 1 ტელ: 30-34-03.

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. საცხოვრებელი ფართი 80 კვ. მეტრი. აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო. ავტოფარეხი, ცხელი წყალი, ტელეფონი და კაპიტალური სარდაფი. ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-26-31

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია ინვენტარით. ფართი 200 კვ. მეტრი. აქვს საწყობი ლიფტით. ფართი 200 კვ. მეტრი. ფასი 35000 დოლარი. ტელ: 72-26-31

იყიდება რუმინული სამზარეულო, ფასი 1300 დოლარად. ტელ: 72-26-31

იყიდება მობილური ტელეფონი, მოტოროლა ულტრა ლაითი ფასი 500 დოლარი ტელ: 72-26-31

იყიდება გერმანული ორკასეტიანი მაგნიტოფონი „ფილიერი“ ფასი 200 დოლარი. ტელ: 72-26-31

იყიდება იაპონური ტელევიზორი „სონი“ – შავთეთრი. მუშაობს 12 და 220 ვოლტზე ფასი 130 დოლარი. ტ. 72-26-31

იყიდება ფეხით საკრავი მანქანა „პედლსკი“ ფასი 130 დოლარი ტელ: 72-26-31

იყიდება კონდესატორი, ფასი 130 დოლარი ტელ: 72-26-31

იყიდება ტრანზისტორი „ოკეანე“ მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე ფასი 60 დოლარი. ტელ: 72-26-31

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების გამარტივებული მეთოდით. სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე. ტელ: 98-34-65.

შეკვეთილი ინგლისურ სალამარაკო ენაში. ფასი 25 ლარი. ტელ: 52-29-87.

მოვამზადებ ბავშვს გერმანულ ენაში სახლში. მისვლით. ფასი 30 ლარი. ტელ: 61-71-43. ნათია.

იყიდება ფირმა მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის ცენტრალურ ადგილს. ტელ: 877-41-05-70. 899-50-69-86.

რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.

რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.

ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის **უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

გამოიწერეთ გაზეთი

„საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ყოფილი სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 4. მეცნიერეთა სამყარო; 8. კურორტი მარტვილის რაიონში; 11. ხეების სიმრავლე; 12. ბოძებზე შემდგარი პატარა ხის სახლი დას. საქართველოში; 13. ცენტრალური აფრიკის ჯუჯა ტომის წარმომადგენელი; 15. ქალაქი ჩინეთში, ხაინანის კუნძულზე; 17. წყალქვეშა კლდე, რომელიც სახიფათოა ნაოსნობისათვის; 18. ქსოვილის სახეობა; 20. გარეული ფრინველი; 22. აზიის სახელმწიფო; 23. წყნარი ოკეანის კუნძული; 25. ქალაქი ბამზე; 26. ინერტული აირი; 27. რაიმე მანქანის ან მექანიზმის დაზიანება; 29. რეალურად, ობიექტურად არსებული არაორგანული სამყარო; 31. ეულკანი კოსტარიკაში; 32. გარეული ცხოველი; 34. ცხოველთა სამყარო; 36. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 39. სიმინდის ნაყოფი; 40. შავი ფიქალი, რომლისგანაც ამზადებენ გრიფელის საწერ პატარა დაფას; 42. საქართველოს მდინარე; 44. დედამიწის ამაღლებული ნაწილი; 46. მდინარე რუმინეთში; 47. თევზის სახეობა; 48. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 49. დიდი კინოფილმის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად აჩვენებენ.

შვეულად: 2 დროის მონაკვეთი; 3. საქართველოს კურორტი; 5. თევზის სახეობა; 6. მუხის ნაყოფი; 7. ქიმიური ელემენტი; 8. მტაცებელი ცხოველი; 9. თბილისის ძველი უბანი; 10. მწერი; 13. მსხვილი მახრჩობელა გველი; 14. რომაული მითოლოგიის ქალღმერთი; 15. თიხის ჭურჭელი; 16. სოფელი სვანეთში; 19. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო; 21. აზიის სახელმწიფო; 22. დაბალი ხარისხის მურა ჭანაჭირი; 24. სოფელი ქარელის რაიონში; 27. ყველფრისადმი გულგრილობა; 28. ცხელი ჭვენის მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 29. ყელის სახეობა; 30. სახელმწიფო დაწესებულების დავალებათა აღმასრულებელი პირი; 33. ისტორიული ძეგლი საქართველოში; 35. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 37. ვაზის ჯიში; 38. შემოკავებული მიწის ნაკვეთი ხეხილით; 41. ხვიარა მარადმწვანე მცენარე; 43. მდინარე თბილისში; 45. მდინარე და ქალაქი ნიგერიაში; 46. უდმურტეთის მდინარე, მდ. კამის შენაკადი.

ჰოროსკოპი — მისანი

ატარეთ თქვენი ავგაროზი

მერწყული (21. 01. — 18. 02)
ავგუსტინტ – ეს ქვა გულწრფელობის, მშვიდობისმოყვარეობის, ალალმართალობისა და გონებრივი სიფხიზლის სიმბოლოს წარმოადგენს. დაგიცავთ მინგანი მღელვარებისაგან, სულიერი არეულობისაგან, მოგიხმარებთ ჰარმონიის მიღწევაში.

თევზები (19. 02. — 20. 03)
აპატამარინ – თევზების ნიშნით დაბადებულთათვისაა ძალიან მნიშვნელოვანი. ეს ქვა გონიერების სიმბოლო გახლავთ, მეზღვაურთა და ბანჯის მოთამაშეთა მფარველი. აცხრომს მოთამაშეთა აზარტს, იცავს მათ წაგებისაგან, ამიტრალულს ენებებს, აშშვიდებს ნერვებს.

ვერძი (21. 03. — 20. 04)
ალმაზი – სიმტკიცის, გაბედულებისა და უდანაშაულობის სიმბოლოა, თოკავს სიშმაგესა და აეროლოგიას, მოგანიჭებთ რწმენასა და ძალას, გაგამარჯვებინებთ მტრეებზე, დაგიცხრობთ ენებებს, ვერც ავი სული დაგაკლებთ რაღაც და ვერც საწყალიანი მფარველობს ედობას.

კურო (21. 04. — 26. 05)
ზურმუხტი – სხვა მეორე ქვას ვერ იპოვით, ასე რომ ახარებდეს თვალს ძველმა ბერნებმა მას ბრწყინვალე შარკვეს. გადმოცემის თანახმად, ზურმუხტი გინარჩუნებს სიბრძნეს, გიმახვილებს შეხედულებას, გიცავს დაავადებებისაგან, აგარიდებს ღალატს მშვიდად დაგაძინებს ღამით.

ტყუპები (22. 05. — 21. 06)
მარგალიტი – ერთგულების, სიყვარულისა და სულიერი სიუფთავის სიმბოლოა. იგი მფარველობს სახლკარსა და მეუღლეობას. ვინც მარგალიტს ატარებს, არ ეშინერება უპასუხო სიყვარული. ეს ქვა ხელს უწყობს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერებას.

კირჩხიბი (22. 06. — 22. 07)
ლალი – ძველად მიაჩნდათ, რომ ამ ქვას მისი მფლობელისათვის მოაქვს ღვთის ძალა, არწმუნებს გამბედულება, და უხსნებელს სიბრძნე. დროთა განმავლობაში აღიარებულია მეზღვაურ ბედნიერი სიყვარულის, ძალაუფლებისა და ძალმოსილების სიმბოლოდ.

ლომი (23. 07. — 23. 08)
ბრილიანტი – ეს არის წარმატების სიმბოლო. იგი ამაღლებს სულიერ ძალებს, შეაქვს სიმშვიდე, დაგიფარავთ მარცხისაგან, გარეშემოფენთა მტრობისაგან. ქრიზოლითი მის მფლობელს იფარავს ხანძრისა და გაქურდვისაგან. შუა საუკუნეებში ბანკირები და ვაჭრები სწორედ ქრიზოლითისქვან ბეჭედს ატარებდნენ.

ქალწული (24. 08. — 23. 09)
საფირონი – ეს ქვა უმეწიკლობის, მიამიტობის სათნობისა და უანგარობის განსახიერებაა. ეს ქვა დაგიცავთ შურისა და ცილისწამებისაგან. მისმა მფლობელმა არ იცის რა არის შიში. ჭვალ გერმანელებს საფირონი გამარჯვების სიმბოლოდ ეთვლებოდათ, სულსა და სხეულს ყოველგვარი ავადმყოფობისაგან რომ იცავდა.

სასწორი (24. 09. — 23. 10)
ოპალი – არსებობს რწმენა, რომ ოპალის ქვა ჭკვიანავს გულის ვარამს, აშშვიდებს ნერვებს, გიმრუნებთ მაგალ მზერას, გიცავს ინფექციური დაავადებებისაგან, კერძოდ, შავი ჭირისაგან. ეს ქვა ადამიანს თანტაზიის, ტელეპატიის, წინასწარმეტყველების ნიჭით და კარგ აჯილდოვებს.

ღრიანკალი (24. 10. — 22. 11)
ტოპაზი – ძველთაგანვე ტოპაზს სიბრძნის, შინაგანი გასბივონების, ერთგულებისა და სიყვარულის ქვა ეძახდნენ. ეს ქვა სახლის თილისმა გახლავთ. იგი თავის მფლობელს პატიოსნებასა და სულგრძელობას ანათლებს.

მშვილდოსანი (23. 11. — 21. 12)
ფირუზი – მშვილდოსანის ნიშნით დაბადებულთათვის ეს არის ერთგული სიყვარულის, ხანგრძლივი სიცოცხლის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის ქვა სიმბოლო.
ფირუზი აღმასავლეთ ხალხების საყულტო ქვა გახლავთ. განსაკუთრებით ძვირფასია ცისფერი ფირუზი. მწვანე ფირუზი მოწოფული ადამიანის ქვაა.

თხის რქა (22. 12. — 20. 01)
ძოწი – იგი მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლოა. გადმოკეთების თანახმად, ძოწი ფლობს უზარმაზარ ენერგიას, იდუმალ ძალას – სულს ანარეკლს. გინერგავს სიხალისეს, ოპტიმიზმს. ძოწი წარმატებით ებრძვის გაკეკლეს განსაკუთრებით ბრონქიტს, ანემიას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, სისტლის ხარისხს. აგარიდებთ დეპრესიას ატეკვებულ თავს.

გასული საუკუნის იუმორი

გაზეთი „ივერია“

ერთ ებრაელ ქალს ათხოვებდნენ. ყმაწვილი ქალი ამის გამო ძალიან დაღონებული იყო და მდუღარეს აბნევდა. მოვიდა დედა და დამშვიდება დაუწყო:

შე სულელო, რა გატირებს, მეც გავთხოვდი, მაგრამ აგრე-კი არ მიტირიაო.

— ჰო, შენაო, უპასუხა ქვითინით ყმაწვილმა ქალმა, შენ მამაჩემს მისდევდი ცოლად, მე — კი სულ უცხოს უნდა გავყვეო.

* * *

ერთი დამნაშავე, რომელსაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, სთხოვდა მსაჯულს, გვარად ბაკონს, მაპატიე დანაშაულიო, მაგრამ მსაჯულმა მისი თხოვნა არ შეასრულა. დამნაშავე ხელახლა შეეევედრა, სასჯელი მაინც შემიმსუბუქეთ, რადგან ნათესავად მოგხვდებითო.

— რითი დაამტკიცებთ, რომ ჩემი ნათესავი ხართ? ჰკითხა მსაჯულმა.

თქვენ ბატონო, გქვიათ ბაკონი, რაც ინგლისურად ნიშნავს ლორს, ჩემი გვარი კი ნიშნავს ღორს და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ლორი და ღორი ძალიან მახლობელნი არიან ერთმანეთისა?

— მართალიაო, უთხრა მსაჯულმა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მაშინ დავნაოესავდებით, როცა სახრჩობელაზე ჩამოეკიდებით, იმიტომ, რომ ღორი რამდენიმე დღე მაინც უნდა იყოს დაკიდებული, რომ ლორად გაკეთდეს.

ფელიქს ფერეტიკიანი



კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება გამოაკლდა ჩვენს რიგებს. კაცი, რომელსაც ორი წელი ხელიდან არ გაუშვია იარაღი და სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულად იბრძოდა, მშვიდობიან დროს დავკარგეთ ევროპის ცენტრში.

ომის ყოველი დღე ალბათ წლების ტოლფასია და ომის დროს გაცნობილი კაცი კი ალალი ძმისგან არ გაირჩევა.

კარგი ვაუკაცის, მეომრის, მეგობრის და პიროვნების სახელი არასოდეს დაავიწყდებათ „შავნაბადას“ ბატალიონის და ეროვნული გვარდიის იმ მებრძოლებს, ვინც ერთხელ მაინც კი შეხვედრია ფელიქს ფერეტიკიანს.

თანამებრძოლები

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444